აჭარა

გამოცემის 105-ე წელი

www.gazetiajara.ge

გამოდის პარასკევობით

№9 (25.187) 14 მარტი, 2025 წ. 50 თეთრი

გარემოს ეროვნული სააგენტოს აჭარის ჰიდრომეტეოროლოგიური ობსერვატორიის ცნობით

დღეს მოსალოდნელია უნალექო ამინდი, ცვალებადი მიმართულების ქარი – 10-15 მეტრი წამში, ტემპერატურა სანაპირო რაიონებში - 18-23, მთიან რაიონებში - 15-20, მაღალ მთაში - 5-10 გრადუსი სითბო. ზღვის წყლის ტემპერატურა 10 გრადუსია, ატმოსფერული წნევა – 763 მილიმეტრი.

მომდევნო 2 დღეს ამინდი შენარჩუნდება.

ჩვენ 104 წლისა ვართ!

ევროპული ხარისხის განათლებისთვის

საქართველოს მთავრობის პრესსამსახურის ინფორმაციით, პრემიერ-მინისტრ ირაკლი კობახიძის ხელმძღვანელობით, უმაღლესი განათლების რეფორმის სამთავრობო კომისიის სხდომა გაიმართა, სადაც აჭარის მთავრობის თავმჯდომარე თორნიკე რიჟვაძეც იმყოფებოდა.

შეხვედრაზე ყურადღება გამახვილდა უმაღლესი განათლების სისტემაში არსებულ გამოწვევებზე, როგორც ინფრასტრუქტურის, ასევე განათლების ხარისხის კუთხით.

საქართველოს მთავრობის მეთაურმა ხაზი გაუსვა ქვეყანაში საუნივერსიტეტო განათლების სისტემის თვისებრივად გარდაქმნის მნიშვნელობას. კომისია უახლოეს პერიოდში შეიმუშავებს კონცეფციას, რომლის საფუძველზე შექმნილ სტრატეგიას დაეფუძნება უმაღლესი განათლების რეფორმა. პრემიერ-მინისტრის შეფასებით, 2028 წლისთვის შესაძლებელია უნივერსიტეტებში როგორც ინფრასტრუქტურული საკითხების მოგვარება, ასევე, სწავლების და კვლევის ხარისხის გაუმჯობესება.

კომისიის სხდომაზე აღინიშნა, რომ მნიშვნელოვანია, მაქსიმალურად იყოს ათვისებული ყველა რესურსი, რათა 4 წელიწადში თვისებრივად განახლებული სისტემა ჩამოყალიბდეს და ქართველმა სტუდენტმა საქართველოში ევროპული ხარისხის უმაღლესი განათლება მიიღოს.

მინისტრი კულტურის სფეროს წარმომადგენლებს ხვდება

აჭარის კულტურის მინისტრ ელისო ბოლქვაძეს ბათუმის თოჯინებისა და მოზარდ მაყურებელთა პროფესიულმა სახელმწიფო თეატრმა უმასპინძლა.

თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელმა ირაკლი კიკვაძემ შეხვედრაზე დამსწრე საზოგადოებას მიმდინარე შემოქმედებით პროცესზე პრეზენტაცია წარუდგინა. მან ყურადღება გაამახვილა რეგიონალურ და საერთაშორისო პროექტებზე, მათ შორის, „ბათუმის საერთაშორისო თოჯინების თეატრალურ ფესტივალზე“, რომელიც წელს, სექტემბერში, მესამედ გაიმართება.

კულტურის მინისტრმა კოლეგებთან ერთად დაათვალიერა თეატრის ინფრასტრუქტურა, მათ შორის, გიგანტური 6-მეტრიანი თოჯინა „ხეტიალა“, რომელიც თეატრის სიმბოლოდ იქცა და მნახველთა აღფრთოვანებას იწვევს.

აჭარის კულტურის მინისტრმა მხარდაჭერა გამოუცხადა თოჯინებისა და მოზარდ მაყურებელთა თეატრს და აღნიშნა, რომ ის ყველაფერს გააკეთებს თეატრის კიდევ უფრო მეტად განვითარებისა და პოპულარიზაციისთვის.

* * *

ურთიერთთანამშრომლობის ფარგლებში, აჭარის კულტურის მინისტრი ელისო ბოლქვაძე, მოადგილეებთან ერთად, მწერალთა კავშირისა და მწერალთა სახლის წარმომადგენლებს შეხვდა. მხარეებმა არსებულ გამოწვევებზე, მიღწეულ შედეგებსა და სამომავლო პროექტებზე გაამახვილეს ყურადღება.

„დღეს მინისტრის რანგში წარვსდექი იმ ადამიანების წინაშე, ვისთან ერთადაც, მამის პროფესიიდან გამომდინარე, ბავშვობიდან მოვდივარ და ვიცნობ, ამიტომ ჩემთვის ეს ორმაგად საპასუხისმგებლო და სასიამოვნოა. თუკი შეიქმნა კულტურის სამინისტრო, რა თქმა უნდა, იქნება ქმედითი, მოქნილი და ეფექტური. ის მოლოდინი, რაც აქვს საზოგადოებას, ამ მოთხოვნებზე იქნება სამინისტრო ორიენტირებული. კულტურა უნდა იყოს ყველგან, ყველა სახლში, ყველა რეგიონში. კულტურის სამინისტრო იქნება ყველა საინტერესო პროექტის ხელშემწყობი და მხარდამჭერი“, - განაცხადა ელისო ბოლქვაძემ.

ISSN 2720-8702

9 772720 870003

გამოიწერეთ გაზეთი «აჭარა»!

ვისაც სურს მიიღოს მაქსიმალურად ზუსტი ინფორმაცია და ობიექტური ანალიზი არა მარტო ჩვენი რეგიონის, სრულიად საქართველოს პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და კულტურული ცხოვრების მთავარი მოვლენების შესახებ, შესაბამისი თხოვნით მიმართოს სადისტრიბუციო ორგანიზაციას «ბათუმი ექსპრესი» (ქ. ბათუმი, ჭავჭავაძის ქ. №90, ტელ: 555 86 12 21). მისი დახმარებით თქვენს მისამართზე მიიღებთ გაზეთ «აჭარის» ყოველ მომდევნო ნომერს.

გამოიწერეთ და ითანამშრომლეთ გაზეთ «აჭარასთან»!

ჩვენთვის ძვირფასია თითოეული თქვენგანის აზრი!

წამოჭრილი პრობლემების შემთხვევაში დაგვიკავშირდით:

577 20 43 55.

რეფორმა, გააქტიურებული ოპოზიცია და სააკაშვილის ახალი განაჩენი

თამარ ლამპარაძე 595 85 80 06

მიმდინარე კვირა ცვლილებებით დაიწყო. როგორც ცნობილი გახდა, საქართველოს პრემიერ-მინისტრსა და მთავრობასთან ერთად შემუშავდა ანტინარკოტიკული რეფორმა, რომელიც ნარკოდანაშაულისთვის კანონის რამდენიმე მიმართულებით გამკაცრებას ითვალისწინებს.

ინფორმაცია ამის შესახებ საზოგადოებას „ქართული ოცნების“ თავმჯდომარემ და პარტიის აღმასრულებელმა მდივანმა მამუკა მდინარაძემ პარლამენტში გამართულ ბრიფინგზე მიაწოდა.

„როგორც საზოგადოებას დავპირდით, საქართველოს პრემიერ-მინისტრთან და მთავრობასთან ერთად შევიმუშავეთ ანტინარკოტიკული რეფორმა, რომელსაც ვიწყებთ. ასევე, განსაკუთრებული მადლიერებით უნდა აღინიშნოს, რომ ანტინარკოტიკული და ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაციის კამპანიის ერთ-ერთი მთავარი ინიციატორი გახლავთ საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ ყველაშვილი“, - განაცხადა მამუკა მდინარაძემ.

მდინარაძის თქმით, მმართველი გუნდი აპირებს, მომავალი თაობების გადარჩენისთვის ანტინარკოტიკული რეფორმა, ანტინარკოტიკული კამპანია და ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაცია განსაკუთრებულ ეროვნულ პრიორიტეტად აქციოს.

რეფორმის თანახმად, ყველა სახის ნარკოტიკული საშუალების გაყიდვისთვის სასჯელი მაქსიმალურად მკაცრდება, რაც ნიშნავს, რომ ნარკორეალიზატორებისთვის არათუ განსაკუთრებით ძლიერი ან დიდი ოდენობით ნარკოტიკის, არამედ მცირე ოდენობით ნარკოტიკის გაყიდვისთვისაც კი სასჯელი 12-დან 20 წლამდე ან უვადო პატიმრობა იქნება.

მამუკა მდინარაძის განცხადებით, „ორგანიზებული დანაშაულისა და რეკეტის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტით განისაზღვრება ნარკოვაჭრობისა და ნარკომოვაჭრის ცნება და მოწესრიგდება მათთან დაკავშირებული ცალკეული საკითხები. კერძოდ, განისაზღვრება, ვინ შეიძლება იყოს ნარკომოვაჭრის ოჯახის წევრი, ახლო ნათესავი და დაკავშირებული პირი. ამასთანავე, დადგინდება, თუ რა ჩაითვლება ნარკომოვაჭრის ქონებად. დაიხვეწება საკანონმდებლო ჩარჩო, რითაც შესაძლებელი გახდება ნარკორეალიზატორისთვის ან ნარკოტიკების გავრცელებაში ხელშემწყობი პირისთვის მის საკუთრებაში არსებული უძრავ-მოძრავი ქონების ჩამორთმევა და სახელმწიფოსთვის გადაცემა. ასევე, მდინარაძემ ბრიფინგზე აღნიშნა, რომ 2025 წლის პირველი ივნისიდან იმ შემთხვევაში, თუ პირს დაუდასტურდება ნარკოტიკის მოხმარების ფაქტი, ან თუ პირი თავს აარიდებს ნარკოლოგიურ შემოწმებას, მას სამი წლით ჩამოერთმევა ნებისმიერი სახის სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლება. ხუთი წლით ჩამოერთმევა საჯარო სამსახურში, პედაგოგიურ და საგანმანათლებლო დაწესებულებებში საქმიანობის უფლება, ასევე, იარაღთან დაკავშირებული უფლებები.

ცვლილებები, გამკაცრების მიმართულებით, შეეხება სისხლის სამართლის, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის, ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ კანონის სხვა შესაბამის ნორმებსაც.

ასევე, მკაცრდება პასუხისგება ახალი ფსიქოაქტიური ნივთიერების უკანონო შეძენის, შენახვის, დამზადების, წარმოების, გადაზიდვისა და გადაგზავნისთვის.

აღნიშნულ ცვლილებას ეხმაურებიან ოპოზიციაში. მათი ნაწილი მიიჩნევს, რომ ნარკოპოლიტიკა დღეს საქართველოში რეპრესიულია.

„ამ აკრძალვებს აქვს ერთადერთი მიზანი, რომ „ქართულმა ოცნებამ“ გამოიყენოს ნარკომომხმარებლების პრობლემა პოლიტიკური მიზნებისთვის, მორიგი რეპრესიებისათვის მაშინ, როდესაც ჩვენ გვჭირდება დასჯიდან მზრუნველობაზე ორიენტირებულ ნარკოპოლიტიკაზე გადასვლა, გვჭირდება განათლებაში მეტი ინვესტიციის ჩადება იმისათვის, რომ ეს პრობლემა ასეთი მზარდი არ იყოს და გვჭირდება გაცილებით უფრო ახალი, თანამედროვე და ევროპული მიდგომები ნარკოპოლიტიკაში“, - აცხადებს მედიასთან საუბარში „ლელო-საქართველოს“ წევრი საბა ბუაძე.

პარტია „გირჩში“ მიიჩნევენ, რომ დღეს საქართველოში ნარკოპოლიტიკა იმდენად მკაცრია, რომ მისი კიდევ უფრო გამკაცრება შეუძლებელია.

პარტია „ხალხის ძალაში“ მთავრობის გადაწყვეტილება მოსწონთ და აღნიშნავენ, რომ ნარკოპოლიტიკის გამკაცრება უმნიშვნელოვანესი საქმეა.

„საქართველოს პარლამენტი მუშაობს ახალ კანონპროექტზე, რომელიც ქვეყანაში ნარკოპოლიტიკის გამკაცრებას იწვევს. ნარკოპოლიტიკის გამკაცრება ბევრ ახალგაზრდას გადაარჩენს. ახალგაზრდობა კი მთავარი რეპროდუქციული სეგმენტია დემოგრაფიულ პოლიტიკაში“, - აღნიშნავს „ხალხის ძალის“ ერთ-ერთი ლიდერი თამარ ჩუბინიძე.

ასევე, მიმდინარე კვირაში, ცნობილი გახდა, რომ პარლამენტის რეგლამენტში ცვლილებები შედის, რომლის მიხედვითაც, თუ საპენსიო ასაკს მიღწეული აპარატის თანამშრომლები სამსახურიდან პირადი განცხადების საფუძველზე წავლენ, ერთჯერად კომპენსაციას მიიღებენ.

„აღნიშნული ცვლილება დამატებით სოციალურ პირობებს შექმნის საპენსიო ასაკს მიღწეული პარლამენტის აპარატის თანამშრომლებისათვის, რითაც მათ კიდევ ერთხელ დაუფასდებათ წლების განმავლობაში პარლამენტის საქმიანობაში შეტანილი წვლილი და ხელი შეეწყობა მათ უკეთ ადაპტირებას შეცვლილ გარემოსთან“, - აღნიშნულია კანონპროექტის განმარტებაში.

ცვლილებები ამით არ სრულდება. პარლამენტის დროებითი საგამოძიებო კომისიის საქმიანობასა და უფლებამოსილებებთან დაკავშირებით რეგლამენტში ცვლილებები მომზადდა. ცვლილებების გათვალისწინებით, თუ გონივრული ეჭვი იარსებებს, რომ ჩადენილია დანაშაულებრივი ქმედება, პარლამენტის დროებით საგამოძიებო კომისიას, საქმიანობის ნებისმიერ ეტაპზე, შეეძლება, შესაბამისი ორგანოს წინაშე გამოძიების დაწყების საკითხი დასვას.

მიმდინარე კვირაში მეხუთე პრეზიდენტმა სალომე ზურაბიშვილმა ოპოზიციის წარმომადგენლებთან მორიგი საკოორდინაციო შეხვედრა გამართა, სადაც მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე იმსჯელეს. ოპოზიცია სამომავლო ნაბიჯების აუცილებლობასა და კოორდინაციის მნიშვნელობაზე ამახვილებს ყურადღებას. ისმის კონკრეტული მოწოდებებიც. „კოალიცია ცვლილებებისთვის“ ერთ-ერთი ლიდერი ზურა ჯაფარიძე აცხადებს, რომ საჭიროა სექტორული ეკონომიკური სანქციები და უნდა შეჩერდეს თავისუფალი ვაჭრობა ევროკავშირთან. ჯაფარიძის განცხადებას გარკვეულ ოპოზიციურ პარტიებში განსხვავებული შეფასებები მოჰყვა, ხოლო მმართველ გუნდში მიაჩნიათ, რომ ოპოზიციონერების ქმედებები უცხოეთიდან არის ნაკარნახევი და ამ მოლაპარაკებებს აზრი არ აქვს.

„მათი შიშები მესმის, რადგან განწირული არიან მარცხისთვის. მათ არცერთ რაიონსა და ქალაქში, როგორც მერობის დონეზე, ასევე საკრებულოების დონეზე, გამარჯვების არანაირი შანსი არ აქვთ“, - აღნიშნა მედიასთან საუბარში თბილისის მერმა კახა კალაძემ.

„ლელოს“ ერთ-ერთი ლიდერი ბადრი ჯაფარიძე მედიასთან საუბარში განმარტავს, რაზე ისაუბრეს ოპოზიციონერებმა სალომე ზურაბიშვილთან შეხვედრაზე.

„პლატფორმის შექმნის აუცილებლობაზე იყო საუბარი იმისათვის, რომ ჩვენ გვქონდეს შეჯერებული პოზიცია ამა თუ იმ მოვლენაზე, რაც ქვეყანაში ხდება და შევიმუშავეთ ერთობლივი გეგმა, თუ როგორ უნდა ჩატარდეს ახალი არჩევნები იმისათვის, რომ გამოირიცხოს ის უმსგავსობა, რაც ვნახეთ 26 ოქტომბერს. ასევე, ვისაუბრეთ, რომ პლატფორმამ უნდა იმუშაოს არჩევნებამდე მისვლის ნაბიჯებზეც და მსგავსი მსჯელობები მომავალშიც გაგრძელდება“, - აცხადებს ბადრი ჯაფარიძე.

პარტია „გირჩში“ კი თვლიან, რომ ამ მოლაპარაკებებს ნაყოფიერი შედეგი არ ექნება.

„არაფერი გამოვა იმ საქმიდან, რომელშიც ქალბატონი სალომე იღებს მონაწილეობას. ჩვენ უკვე წლებია ვაკვირდებით მის აქტივობას და მე არ მახსენდება არც ერთი მისი ინიციატივა, რომელიც რაიმე შედეგით დასრულდა. მთელი ეს გაერთიანება სალომე ზურაბიშვილის ირგვლივ მხოლოდ მათი ენერგიის დახარჯვას ემსახურება და არა „ქართულ ოცნებასთან“ ბრძოლას“, - ამბობს პარტია „გირჩის“ წევრი ალექსანდრე რაქვიაშვილი.

ამასობაში საქართველოს მესამე პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილს თბილისის საქალაქო სასამართლომ საბიუჯეტო თანხების გაფლანგვის საქმეზე 9 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა. აღნიშნულ საქმეზე გადაწყვეტილება მოსამართლე ბადრი კოჭლამაზაშვილმა გამოაცხადა.

„რამხელა სიურპრიზია ოლიგარქის განაჩენი არა? დამპყრობლის ნება პირდაპირ აღსრულდა, ეს არის მათი პასუხი იმაზე, რომ არ ჩავბარე საქართველო, იმისთვის, რომ პირველად საუკუნეების განმავლობაში გავბედეთ და ჩამოვაყალიბეთ წარმატებული ქართული სახელმწიფო.

მას შემდეგ, რაც ვერაფერი ვერ მიპოვეს, პრაქტიკულად, სამუდამო პატიმრობა მომისაჯეს საპრეზიდენტო ოფისის ოფიციალური ხარჯებისთვის.

ასე ისჯება ივანიშვილის მაფიოზური კლანის მიერ ქვეყნისთვის თავდადება და სამშობლოს სიყვარული.

ვერ დაგვაშინებენ!“ - ასე ეხმაურება სოციალური ქსელის მეშვეობით მიხეილ სააკაშვილი თბილისის საქალაქო სასამართლოს მიერ მის მიმართ გამოტანილ განაჩენს. მმართველი პარტია ამ გადაწყვეტილებას სამართლიანად მიიჩნევს, ხოლო ოპოზიციაში ამბობენ, რომ „ქართულ ოცნებას“ მიხეილ სააკაშვილის ძალიან ეშინია.

„ეს არ არის სამართლიანი და თავისუფალი სასამართლო. მოსამართლე ასრულებს იმ დავალებას, რასაც იღებს რეჟიმისგან. მიხეილ სააკაშვილის, როგორც მთავარი ოპოზიციური ფიგურის, რეჟიმს ძალიან ეშინია. ყველაფერს აკეთებს იმისთვის, რომ მიხეილ სააკაშვილი დარჩეს საკანში, არ გამოვიდეს გარეთ, არ იყოს თავისუფალი, არ იყოს ხალხთან, არ იყოს კამპანიაში“, - აცხადებს „ერთიანობა - ნაციონალური მოძრაობის“ გენერალური მდივანი პეტრე ცისკარიშვილი.

„ქართული ოცნების“ წევრ ლევან მაჭავარიანის თქმით, სააკაშვილის ცხრაწლიანი პატიმრობა ლოგიკური განაჩენია.

„დღეს გამოიტანეს განაჩენი ცხრა მილიონი ლარის გაფლანგვის საქმეზე, რომელიც მტკიცებულებების სახით დეტალურად არის წარმოდგენილი და ჩვენი ოპოზიცია ფუთავს, როგორც „პიჯაკების საქმეს“. მე არ მგონია, რომ პიჯაკები ცხრა მილიონი ლარი ჯდებოდეს. იქ არის ძალიან დეტალური ჩაშლა, თურაში იყენებდა ის ბიუჯეტის თანხებს. რა თქმა უნდა, ეს იყო ლოგიკური განაჩენი და მან პასუხი უნდა აგოს ჩადენილ დანაშაულებზე“, - აცხადებს ლევან მაჭავარიანი.

ქრონიკა

კახაბრის ქუჩაზე ახალი სკვერისა და სპორტული მოედნის მშენებლობა დასრულდა. შესრულებული სამუშაოები ბათუმის საკრებულოს თავმჯდომარე ირაკლი თავდგირიძემ და საკრებულოს ინფრასტრუქტურის განვითარების კომისიის თავმჯდომარე მინდია გოგუაძემ ქალაქის მერ არჩილ ჩიქოვანთან და ვიცე-მერ ნუკრი დეკანაძესთან ერთად დათვალიერეს. პროექტის ფარგლებში, სკვერში განთავსდა საბავშვო ატრაქციონები, სპორტული ტრენაჟორები და საბაღე ინვენტარი, მოეწყო სრულიად ახალი განათების სისტემა. აღნიშნული პროექტის განხორციელებისთვის ქალაქის ბიუჯეტიდან 836 ათას ლარზე მეტი თანხა იყო გამოყოფილი.

* * *

ბათუმის მერია ქალაქში მიმდინარე სამუშაოებთან დაკავშირებით, ინფორმაციას ავრცელებს, რომელშიც აღნიშნულია: გრძელდება გენერალ ასლან აბაშიძის ქუჩისა და ჩიხების კეთილმოწყობის პროექტი; მიმდინარეობს გზების დაზიანებული მონაკვეთების აღდგენის სამუშაოები; ტაბიძის ქ. №1-ში სპორტული მოედნის რეკონსტრუქცია გრძელდება. სამუშაოები ერთი კვირის განმავლობაში დასრულდება; ქალაქის მასშტაბით ტროტუარის ფილების, ბოძკინტებისა და ქვაფენილის შეკეთება მიმდინარეობს; დაზიანებული სახურავის რეაბილიტაცია ხორციელდება ზუბალაშვილის ქ. №20-ში; წერეთლის ქუჩაზე მიმდინარეობს საგზაო ნიშნების აღდგენის სამუშაოები; სანიაღვრე ჭებისა და ცხაურების გაწმენდა ხორციელდება სამხრეთის, ფალავანდიშვილის, იმედაშვილის, შარტავას, ფიროსმანის, გ. აბაშიძის, ინასარიძის, ე. თაყაიშვილის, პუშკინის, ს. ხიმშიაშვილის, მესხეთის, ნ. ნიჟარაძის, დიდგორის, გურამიშვილისა და 26 მაისის ქუჩებზე; სკვერების, პარკებისა და მწვანე სივრცეების მოწესრიგება გრძელდება. სამუშაოები ლეონიძის ქუჩაზე ხორციელდება; ბათუმის მასშტაბით რეგულარულად მიმდინარეობს სანაპირო ზოლის, ეზოების, ბულვარის, ქუჩების, სკვერებისა და ტროტუარების დაგვა-დასუფთავების ღონისძიებები.

* * *

საქართველოს სკაუტური მოძრაობის აჭარის ორგანიზაციის ხელმძღვანელებმა ტრადიციას არც წელს უღალატეს და წარმატებული, 70 წელს გადაცილებული ქალბატონების ნაწილი ქალთა დღეებისადმი მიძღვნილ სალონურ საღამოზე მიიწვიეს. მათ მადლობა გადაუხადეს იმ შრომისთვის, რასაც ისინი წლების განმავლობაში ეწეოდნენ და ზოგი მათგანი დღესაც ეწევა. მიწვეული სტუმრების გარდა, მასპინძლებმა ქალთა და დედის დღეები აჭარის რაიონებში მცხოვრებ ღვაწლმოსილ ქალბატონებსაც მიულოცეს და საჩუქრები გაუგზავნეს (დიდთოვლობის გამო, მუნიციპალიტეტების წარმომადგენლები წელს შეხვედრას ვერ დაესწრნენ). მასპინძლებმა მადლობა გადაუხადეს იმ ორგანიზაციებს და ცალკეულ ადამიანებს, რომელთა ჩართულობამ უფრო გაალამაზა და გააფერადა ეს დღეები. აჭარის სკაუტების ხელმძღვანელმა შორენა ლომაძემ, ლიდერმა ნათია გეგუჩაძემ, აჭარის სკაუტური მოძრაობის ერთ-ერთმა დამაარსებელმა მედეა ჩარკვიანმა შეკრებილ ქალბატონებს ქალთა დღესასწაულები მიულოცეს. სალონური საღამოს მონაწილეებმა სკაუტების გადაღებული ქალთა დღისადმი მიძღვნილი ვიდეო ნახეს. სტუმრების სახელით სიტყვით გამოვიდნენ ჩიტო ომერაძე, ცისანა ანთაძე. ბოლოს მასპინძლებმა ქალბატონებს საჩუქრები გადასცეს და ტკბილ სუფრასთან მიიწვიეს. 3 მარტს, სკაუტებმა, თოვლიანი ამინდის მიუხედავად, ქუჩებში მსვლელობა მოაწყვეს. ნორჩი სკაუტები მაღაზიებშიც შევიდნენ და ქალბატონებს პატარა თაიგულები, სითბო და სიყვარული აჩუქეს.

გლობალური აქტორები – „საჭადრაკო დაფასთან“

ლაშა ხომერიკი 593 50 82 69

როგორ აისახება რუსეთ-უკრაინის ომი ევროპისა და, მათ შორის, საქართველოს მომავალზე? როგორ წარიმართება აშშ-რუსეთის ურთიერთობები და ახალ მსოფლიო წესრიგში რა როლი ექნებათ გლობალურ აქტორებს? - ამ და სხვა აქტუალურ საკითხებზე გვესაუბრება ბსუ-ის იურიდიულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი, საერთაშორისო სამართლის სპეციალისტი ***ლევან ჯაყელი.***

- როგორ აფასებთ ტრამპისა და ზელენსკის შეხვედრას?

- პირველ რიგში, უნდა აღვნიშნო, რომ მსგავსი ფორმატის დისკუსია ოვალურ კაბინეტში ისტორიასა და დიპლომატიას არ ახსოვს... რაც მოხდა, სიფრთხილით უნდა შეფასდეს. აშშ არ არის რიგითი სახელმწიფო, მის ქმედებებს ყოველთვის მოჰყვება შედეგები და, სავარაუდოდ, შესაძლოა, ასეთი რამ სხვა ლიდერებმა, სახელმწიფოებმა გაიმეორონ და გამოიყენონ საკუთარი ინტერესებისთვის. ცხადია, არ არის მოსაწონი, რაც ოვალურ კაბინეტში მოხდა, მხარეები ვალდებული არიან, პატივი სცენ ერთმანეთის სუვერენიტეტს. პოლიტიკის ექსპერტები სხვადასხვაგვარად აფასებენ ამ საკითხს, ზოგი ზელენსკის ქომაგობს, ზოგი კი ტრამპს, ამიტომ ეს მსოფლმხედველობის საკითხია, თუმცა სამართლებრივად ასეთი რამ არ უნდა მომხდარიყო.

- როგორც ცნობილია, ტრამპმა უკრაინას სამხედრო დახმარება შეუჩერა...

- ეს გამომდინარეობს აშშ-ის სუვერენული უფლებამოსილებიდან, ამ მხრივ რაიმე მდგრადი საერთაშორისო ხელშეკრულება არ არსებობს, რომელიც დაავალდებულებს შტატებს, მხარი დაუჭიროს უკრაინას და მოამარაგოს ის იარაღით. თუ ამერიკის პოზიციიდან შევხედავთ ამ საკითხს, უკრაინასთან დაკავშირებით მას საკუთარი ინტერესები აქვს, ამ ეტაპზე - მინერალების ხელში ჩაგდება. შესაბამისად, სურს, აიძულოს უკრაინა, ხელი მოაწეროს ხელშეკრულებას. ეს ამერიკის სტრატეგიულ მიზანს წარმოადგენს ტრამპის ადმინისტრაციის პირობებში. აშშ, როგორც ყოველთვის, საკუთარი ეკონომიკური, პოლიტიკური თუ სხვა ინტერესებიდან გამომდინარე, ასეთ ქმედებებს ახორციელებს. გადახედეთ აშშ-ის ისტორიას - ის ყველაფერს აკეთებს მხოლოდ თავისი ეროვნული ინტერესებიდან გამომდინარე, უკრაინა ამისთვის მზად უნდა ყოფილიყო. ამერიკას ვერავინ დაელაპარაკება ისე, როგორც ზელენსკიმ მისცა თავს უფლება, თუმცა ვერ ვიტყვით, რომ ეს არასწორად გააკეთა.

- რას გულისხმობთ?

- სახელმწიფოს ლიდერებიც ადამიანები არიან, მით უმეტეს ზელენსკი ძალიან მძიმე წნეხის და გამოწვევების წინაშეა. ძნელი იყო, არ გამოსულიყო მწყობრიდან და თქვა ის, რაც თქვა... ფაქტია, რომ უკრაინა გარკვეულ ჩიხშია და იძულებული იქნება, მიიღოს ის პირობები, რასაც აშშ უკარნახებს. უკვე გავრცელდა ინფორმაცია, რომ აშშ და უკრაინა მინერალებზე ახალ ხელშეკრულებას მოაწერენ ხელს... აღსანიშნავია მაკრონის განცხადება, რომ ევროკავშირი არ მიატოვებს უკრაინას რუსეთის პირისპირ და სამხედრო შეიარაღებითაც დაეხმარება. საფრანგეთის პრეზიდენტმა თქვა, რომ უკრაინის უსაფრთხოება ევროპული კონტინენტის უსაფრთხოების ინტერესებშია, რაც მრავლისმთქმელი განცხადებაა.

- უკრაინის პრეზიდენტმა განაცხადა, რომ ტრამპმა პუტინის რუსეთი საერთაშორისო იზოლაციიდან გამოიყვანა. რას ფიქრობთ?

- ასე არ ვფიქრობ, რადგან იზოლაციიდან აშშ-ს რუსეთი არ გამოუყვანია... დადებითად ვაფასებ ამ დისკუსიის, დიალოგის დაწყებას, შეხვედრები აუცილებლად უნდა გაგრძელდეს, რადგან, ადრე თუ გვიან, ეს საფრთხეები და მშვიდობის ხელმყოფი ფაქტორები უნდა დავიდეს ნულზე, მსოფლიომ უნდა ამოისუნთქოს, უნდა დაისადგუროს მშვიდობამ, რომლის გარეშე არ შეწყდება უარყოფითი დინებები ეკონომიკაში, პოლიტიკასა და საერთაშორისო ურთიერთობებში, რაც აღელვებს ყველა სახელმწიფოს, ყველა მოქალაქეს.

- ალაპარაკდნენ ტრამპისა და პუტინის შეხვედრაზე. როგორც ცნობილია, რუსეთის ლიდერი ჰააგის საერთაშორისო სასამართლომ დაადანაშაულა უკრაინის წინაშე ჩადენილ დანაშაულში. რას ფიქრობთ?..

- აქ პასუხი ძალიან მარტივია: რუსეთი და აშშ არ არიან რომის სტატუტის მონაწილენი, ანუ რომის სტატუტის იურისდიქცია მათთან არ ვრცელდება, შესაბამისად, აშშ და რუსეთი არ არიან ვალდებული, აღასრულონ ის პირობები, რომელიც ჰააგის სასამართლოს მიერ იქნა გაცემული, შესაბამისად, ვერ ჩაითვლება ეს რაიმე დარღვევად. საერთაშორისო სამართალთან წინააღმდეგობაში იმ შემთხვევაში ჩაითვლებოდა შეხვედრა, რომელიმე სახელმწიფოს რომის სტატუტი თუ ექნებოდა რატიფიცირებული.

- მას შემდეგ, რაც ტრამპმა, გარკვეულწილად, ანტიევროპული განცხადებები გააჟღერა, საუბარი დაიწყო ევროპის ახალ არქიტექტურაზე. ამ მხრივ საფრანგეთს, გერმანიასა და დიდ ბრიტანეთს რა დატვირთვა ექნება?

- ამ მიმართებით რამდენიმე კონტექსტი უნდა გავითვალისწინოთ. პირველი - ევროპის უსაფრთხოების ახალ არქიტექტურაზე საუბარი დაგვიანებულია, ევროკავშირს თავის დროზე უნდა ეფიქრა ამ მიმართულებაზე, მათ უნდა ჰქონოდათ ევროპული თავდაცვის რაღაც სისტემა მაინც, ეს გამოწვევა რამდენჯერმე უკვე განმეორდა. ტრამპი უკვე მეორედ გახდა აშშ-ის პრეზიდენტი და ის არ უშვებს შესაძლებლობას, რომ ევროპას არ შეახსენოს ის წვლილი, რომელიც შეაქვს ამერიკას ევროპის უსაფრთხოებაში. ყოველი ასეთი განცხადების შემდეგ ევროპის ადგილას დავფიქრდებოდი თავდაცვის ახალ შესაძლებლობებზე. ამაზე ფიქრი უნდა დაწყებულიყო დიდი ხნის წინათ, დღეს უკვე რაღაც მონახაზი და ფუნდამენტი იქნებოდა სერიოზული გადაწყვეტილებისთვის. თავისთავად, ამ სტრუქტურაში წამყვანი ადგილი ექნებოდა ევროპის ისეთ სახელმწიფოებს, როგორიცაა საფრანგეთი, გერმანია, დიდი ბრიტანეთი... და არა მარტო ეს სახელმწიფოები. იტალია, ესპანეთი და პოლონეთიც მიიღებდნენ მასში მონაწილეობას, ვინაიდან დღევანდელი სამხედრო პოტენციალი, შეიარაღების მახასიათებლები არ იძლევა იმის გარანტიას, რომ კონფლიქტის მიმდინარეობა მათაც არ შეეხება. სავსებით შესაძლებელია, ნებისმიერ შეიარაღებულ კონფლიქტში ჩათრეულ იქნას სხვა კონტინენტის სახელმწიფო და ამერიკის ფაქტორი ამის თვალსაჩინო მაგალითია. შესაბამისად, ამის წინაპირობა დიდი ხანია არსებობს, თუმცა კარგი იქნება, თუ ამაზე დაფიქრდებიან და დაიწყებენ კონკრეტულ მუშაობას. როგორც ვიცით, უკრაინა ძალიან კარგი ფაქტორი აღმოჩნდა ამ საკითხში - გასულ კვირას ევროკავშირმა მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები მიიღო, კერძოდ, 800-მილიარდიანი გეგმა წარადგინა თავდაცვის ინდუსტრიისთვის, საიდანაც უკრაინაც მიიღებს გარკვეულ დახმარებას.

- ბოლო პერიოდში საუბარია ახალი საერთაშორისო წესრიგის შექმნაზე...

- ვფიქრობ, უკვე მომწიფებულია ეს საკითხი და ლაპარაკიდან საქმეზეა გადასული, ვინაიდან ის საერთაშორისო წესრიგი, რომელიც მეორე მსოფლიო ომის შემდეგ დამყარდა, ამოწურულია, არაეფექტურია და ვერ უზრუნველყოფს მიზნებსა და ამოცანებს, რომელიც მეორე მსოფლიო ომის დროს გამარჯვებულმა ქვეყნებმა დაუსახეს გაეროს. დღეს, როგორც ხედავთ, რეალური პოლიტიკა, რეალური საერთაშორისო ურთიერთობები დაფუძნებულია ცალკეული სახელმწიფოების აქტივობაზე, სუბიექტურ ინტერესებზე. სხვათა შორის, სხვადასხვა მწვავე პროცესის მოწესრიგებაში საერთაშორისო ორგანიზაციები ეფექტურად ვერ მონაწილეობენ, მათ აქტივობას რაიმე შესამჩნევი შედეგი არ მოჰყვება და, ამდენად, თავისთავად მოსაძებნია ახალი ფორმატი, დასამკვიდრებელია ახალი წესრიგი, რომელიც თითოეულ სახელმწიფოს კონკრეტულ ჩარჩოებში მოაქცევს, განსაზღვრავს საერთაშორისო ახალ ვალდებულებებს და პასუხისმგებლობებს. ძალიან ბევრი რამ იქნება გასათვალისწინებელი. იმედი მაქვს, რომ ნაკლები სისხლის ფასად მორიგდებიან მსოფლიოს წამყვანი სახელმწიფოები, მიუსხდებიან მოლაპარაკების მაგიდას და ახალ მსოფლიო წესრიგზე შეთანხმდებიან.

- ამ ახალ მსოფლიო წესრიგში რა როლი ექნება აშშ-ს, ევროკავშირს, ჩინეთსა და რუსეთს?

- ფაქტია, რომ წამყვანი სახელმწიფოების გარეშე მსოფლიოს ახალ წესრიგზე ლაპარაკის ინიციატორიც კი არავინ იქნება, აღნიშნული სახელმწიფოების გარეშე ამაზე საუბარიც კი ვერ მოხერხდება, მაგრამ აქ მხოლოდ ეს ქვეყნები არ არიან, აქ აუცილებლად ჩაერთვება არაბული სამყარო, ირანი, თურქეთი, მეტიც, ჩრდილოეთ კორეასთანაც მოსაძებნია საერთო ენა, რადგან არ შეიძლება მსოფლიოში არსებობდეს გამონაკლისები საერთაშორისო წესრიგის გვერდით. ბევრი ნიუანსი იქნება გასათვალისწინებელი, მაგრამ ფაქტია, რომ ამჟამად არსებული მსოფლიო წესრიგის გაგრძელება სახელმწიფოებს შორის შეუძლებელი და მიუღებელია. რაც უფრო მალე მივლენ ამ გადაწყვეტილებამდე და მიუსხდებიან მოლაპარაკების მაგიდას ახალი მსოფლიო წესრიგის შექმნის მიზნით, მით უკეთესი იქნება მსოფლიოსთვის.

- ჩვენს ქვეყანაზეც ვისაუბროთ: რამდენად მნიშვნელოვანია ევროკავშირისა და აშშ-ის მხარდაჭერა საქართველოს სახელმწიფოებრიობის განმტკიცებაში?

- პირდაპირი მნიშვნელობით, აბსოლუტურად დამოკიდებული ვართ საერთაშორისო მშვიდობაზე, ჩვენი პარტნიორი სახელმწიფოების სტაბილურობაზე, მათ მხარდაჭერაზე, ვინაიდან, უნდა ვაღიაროთ, რომ ამ ეტაპზე საკუთარი ძალებით ვერ უზრუნველვყოფთ ჩვენი ეროვნული ინტერესების ლეგალიზებას, მის დაცვას, ჩვენ ყოველდღიურად არაპროგნოზირებად ვითარებაში ვიმყოფებით და მთლიანად დამოკიდებული ვართ საერთაშორისო მხარდაჭერაზე. ამგვარად, ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანია ურთიერთობების აღდგენა და განვითარება რუსეთთან, ცხადია, ეროვნული ინტერესების გათვალისწინებით, ასევე, რა თქმა უნდა, კარგი ურთიერთობის აწყობა ევროკავშირთან, აშშ-თან. აუცილებლად ოქროს შუალედი უნდა ვიპოვოთ, ჩვენი მიზეზით არ დავაპირისპიროთ რუსეთი, ევროკავშირი და აშშ და არ შევქმნათ ისეთი სიტუაცია, რომელიც ჩიხში მოგვაქცევს ისევ ჩვენ, ანუ კეთილგონიერებას უნდა მოვუხმოთ. ჩვენ გვმართებს იმ მოქმედებების განხორციელება, რაც არ გამოიწვევს პროვოცირებას, არ შეუქმნის მიზეზს სხვადასხვა სახელმწიფოს, განსაკუთრებით, ჩვენს მეზობლებს, რომ თავიანთი ეროვნული ინტერესები დაიცვან ჩვენს ხარჯზე. ჩვენი ეროვნული ინტერესებიდან გამომდინარე, ვალდებული ვართ, არ წავახალისოთ სახელმწიფოები ჩვენს წინააღმდეგ, სიფრთხილე გვმართებს, უნდა მოვძებნოთ შეხების ის წერტილი რუსეთთან, ევროკავშირსა და ამერიკასთან, რომელიც თავისთავად იქნება გარანტიის მიმცემი ჩვენი სახელმწიფოებრიობისთვის.

- დაბოლოს, რა გავლენა ექნება რუსეთ-უკრაინის ომის შედეგს ევროპაზე, მათ შორის - საქართველოზე?

- ომი, შეიარაღებული კონფლიქტი ყოველთვის ხელყოფს ყველაფერ დიდებულს, პოზიტიურს, ის გვაცლის მეგობრებს, არყევს სტაბილურობას, იგივე პირობებში დაბრუნებას კი წლები და დიდი რესურსები სჭირდება. 21-ე საუკუნეში ჩვენ ვერ ვიქნებით მშვიდად ვერცერთი კონფლიქტის პირობებში, ჩვენთან ახლოს თუ ჩვენგან შორს, ის მაინც აისახება ჩვენზე. როგორც ვთქვი, ჩვენ დამოკიდებული ვართ პარტნიორი სახელმწიფოების მხარდაჭერაზე, მათ პოტენციალზე, რესურსებზე. როცა მათი პოტენციალი მიემართება ამ კონფლიქტისკენ, მხარდაჭერა გვაკლდება. ჩვენც უნდა ვიყოთ დიპლომატიურ ურთიერთობებში ჩართული, რომ შეწყდეს ყველა შეიარაღებული კონფლიქტი და მშვიდობის პირობებში გავაგრძელოთ თანამშრომლობა, ერთმანეთის მხარდაჭერა და იმ ბენეფიტების მიღება, მშვიდობიან თანაცხოვრებას რომ მოჰყვება. ჩვენი პერსპექტივა, განვითარება დამოკიდებულია მეზობლების კეთილგანწყობაზე, წამყვან ქვეყნებთან სავაჭრო თანამშრომლობაზე. 21-ე საუკუნეში ასეთი პროცესებიდან განდგომა არის ჩვენი ქვეყნის და ჩვენი ხალხის ღალატი, რადგან უარყოფითი მოვლენები ასახვას პოულობს მსოფლიოს ნებისმიერ სახელმწიფოზე.

> ***„ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანია ურთიერთობების აღდგენა და განვითარება რუსეთთან, ცხადია, ეროვნული ინტერესების გათვალისწინებით, ასევე, რა თქმა უნდა, კარგი ურთიერთობის აწყობა ევროკავშირთან, აშშ-თან. აუცილებლად ოქროს შუალედი უნდა ვიპოვოთ, ჩვენი მიზეზით არ დავაპირისპიროთ რუსეთი, ევროკავშირი და აშშ და არ შევქმნათ ისეთი სიტუაცია, რომელიც ჩიხში მოგვაქცევს ისევ ჩვენ, ანუ კეთილგონიერებას უნდა მოვუხმოთ***

ორ ობიექტს ძეგლის სტატუსი მიენიჭა

აჭარის კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტოს ინფორმაციით, სოფელ ქოსოფელში (ქედა) და ჩაქვისთავში (ქობულეთი) ორ ობიექტს ძეგლის სტატუსი მიენიჭა

უწყების ინფორმაციით, სსიპ „აჭარის კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტოს“ ინიციატივით, ნაკაშიძეებისა (ქედა) და გორჯელაძეების (ქობულეთი) საცხოვრებელ სახლებს, სსიპ „საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს“ გენერალური დირექტორის 2025 წლის 30 იანვრის №02/5 ბრძანებით, კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლის სტატუსი მიენიჭა.

ნაკაშიძეების სახლი XIX საუკუნის პირველი ნახევრით, ხოლო გორჯელაძეების სახლი 1890-1910 წლებით თარიღდება. ორივე ობიექტი ტრადიციული ქართული ხალხური არქიტექტურის საინტერესო ელემენტებს შეიცავს.

გაიღვიძებს თუ არა გიგანტი?

ირმა ცეცხლაძე 577 20 45 63

„პერლ-ჰარბორზე თავდასხმის შემდეგ, ადმირალმა იამამოტომ (ამ ოპერაციის ხელმძღვანელმა) სევდიანად იწინასწარმეტყველა: „ვშიშობ, რომ მძინარე გიგანტი გავაღვიძეთ“. გიგანტმა გაიღვიძა და თავისი საქმე გააკეთა“ - წერს სოციალურ ქსელში ბათუმის შოთა რუსთაველის უნივერსიტეტის ფილოსოფიის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, ასოცირებული პროფესორი, ფილოსოფოსი და პოლიტიკოსი ***გიორგი მასალკინი.***

- რას გულისხმობთ „გიგანტის გაღვიძებაში“?

- დღეს მთელი მსოფლიო ადევნებს თვალს მიმდინარე მოვლენებს და ყველას აინტერესებს, ხატოვნად რომ ვთქვათ, გაიღვიძებს თუ არა „ფუკუიამას იავნანათი“ (მსოფლიო ისტორიის დასავლური ცივილიზაციისა და მსოფლმხედველობის გამარჯვებით დასრულების თეორია) მიძინებული სხვა გიგანტი - ევროპა? შეძლებს თუ არა გამოსვლას ათწლეულების „ინფანტილური ნირვანიდან“, იგივე - კომფორტის ზონიდან? თუ ძილის მეტასტაზებმა ევროპა უკვე არდაბრუნების წერტილამდე მიიყვანა და ჩვენ სამი დანარჩენი გიგანტის - ამერიკის, რუსეთისა და ჩინეთის მიერ ხელახლა გადანაწილებულ სამყაროში მოგვიწევს ცხოვრება?

- რუსეთიც გიგანტებში მოიაზრება?

- რა თქმა უნდა, თუმცა გასაგებია, რომ რუსეთის „გიგანტობას“, პირველ რიგში, მისი ბირთვული პოტენციალი განაპირობებს... დავუბრუნდეთ მთავარ კითხვას, რომელზეც პასუხი რამდენიმე ქვეკითხვაზე პასუხის გაცემას მოითხოვს. შევეცდები, ჩამოვაყალიბო ეს კითხვები.

- თუ შეიძლება, მანამდე განვმარტოთ, რატომაა აუცილებელი ევროპის გამოღვიძება და როგორ შეგვეხება ეს მოვლენა ჩვენ?

- იმიტომ, რომ ევროპის „გაღვიძება“ სრულიად სამყაროს პოლიტიკური არქიტექტონიკისთვის ცალსახად დადებითი მოვლენა იქნება. რაც შეგვეხება ჩვენ, ამ მხრივ დავესესხები მერაბ მამარდაშვილს: „რწმენა იმისა, რომ ევროპის ნაწილი ვართ, შესაძლოა, ლეგენდაა, მაგრამ ჩვენ ამ ლეგენდის საფუძველზე ვაცნობიერებთ საკუთარ თავს და, შესაძლოა, ეს ლეგენდა რეალობაზე, რეალურ ფაქტებზე უფრო მნიშვნელოვანია“. მაშ ასე, 7 „ქვეშეკითხვა“: 1. ამერიკელმა ხალხმა გააკეთა თავისი არჩევანი და ქვეყნის სათავეში ეგრეთ წოდებული არასისტემური ლიდერები მოიყვანა. არის თუ არა გაცნობიერებული დანარჩენ სამყაროში (პირველ რიგში - ევროპაში) ის მიზეზები, რომლებმაც ეს არჩევანი განაპირობა, და ის გავლენა, რომელსაც ეს გარემოება ევროპისა და მთელი სამყაროს მომავალზე მოახდენს? 2. რას ვგულისხმობთ, როდესაც ევროპაზე ვსაუბრობთ? რამდენად კორელაციაშია დღეს ერთმანეთთან ცნებები - ევროპა, დასავლეთი, დასავლური ცივილიზაცია, ევროატლანტიკური სივრცე? არსებობს თუ არა დღეს ტრადიციული ღირებულებების მქონე ევროპელი ადამიანი, როგორიც ის, თითქოსდა, საბოლოოდ ჩამოყალიბდა მეოცე საუკუნის მეორე ნახევარში? თუ დღეს უფრო გასაგებად ჟღერს მაჰათმა განდის ირონიანარევი პასუხის არსი შეკითხვაზე, თუ რას ფიქრობს ის დასავლურ ცივილიზაციაზე - „დასავლური ცივილიზაცია მართლაც კარგი რამ იქნებოდა, ასეთი რამ რომ არსებობდეს“. 3. შეძლებს თუ არა „პოსტკოლონიალური სინდრომით“ და „წმინდა ძროხის“ სტატუსში აყვანილი პოლიტკორექტულობით შებოჭილი და გაბრუებული ევროპა, გადალახოს იდეოლოგიური ტაბუები, რომელთა გამო ზოგიერთი საკითხის, პრობლემის განხილვა ან იჩქმალება, ან, საერთოდ, იკრძალება, როდესაც არ და ვერ ხდება მთელი რიგი პრობლემებისა და გამოწვევების (რომლებიც თავს დაატყდა დასავლურ სამყაროს) გამოვლინება, მათი სათანადოდ დანახვა და მათზე რეაგირება?

- რომელ პრობლემებს გულისხმობთ?

- ესენია: „დემოკრატიის ორეულების“ და ლიბერალური დემოკრატიის სისტემური ოპონენტების აღმოცენება; დემოკრატიული ინსტიტუტების თანამედროვე სიმულაციური მეტამორფოზები; „რადიკალური ისლამის“ ფენომენი; მიგრაციის დრამატული პროცესი და კრიზისულობაც კი; მულტიკულტურალიზმის პრაქტიკული ფიასკო, როგორც შედეგი წარმატებული კომუნიკაციის ვერდამყარებისა იმ კულტურებს შორის, რომლებსაც ფასეულობათა განსხვავებული სისტემა და განსხვავებული მსოფლაღქმა აქვთ; სოციალური ურთიერთობების დასავლური მოდელის კრიზისულობა და სხვა. 4. რა ითამაშებს მაღვიძარის როლს ევროპისათვის? რის ირგვლივ შეძლებს ის კვლავ გაერთიანებას? რომელი ეგზისტენციური გამოწვევის წინაშე?

- რუსეთის აგრესიის შიში არ იქნება საკმარისი?

> ***„უსაფრთხოების საკითხი რუსეთის შესაძლო აგრესიის წინააღმდეგ, ბუნებრივია, ძალიან მნიშვნელოვანია, მაგრამ იქნება კი ის საკმარისი ნამდვილი გამოღვიძებისათვის და სრულფასოვანი გაერთიანებისთვის? შეძლებს კი ევროპის სამი წამყვანი ქვეყანა - ანგლოსაქსონური სამყაროს ნაწილი - დიდი ბრიტანეთი, ევროპის პოლიტიკურ ლიდერობაში მისი მეტოქე საფრანგეთი და ეკონომიკური გიგანტი შეზღუდული სამხედრო შესაძლებლობებით - გერმანია, ჯერ თავად გაერთიანდნენ და შემდეგ გააერთიანონ ევროპა?***

- უსაფრთხოების საკითხი რუსეთის შესაძლო აგრესიის წინააღმდეგ, ბუნებრივია, ძალიან მნიშვნელოვანია, მაგრამ იქნება კი ის საკმარისი ნამდვილი გამოღვიძებისათვის და სრულფასოვანი გაერთიანებისთვის? შეძლებს კი ევროპის სამი წამყვანი ქვეყანა - ანგლოსაქსონური სამყაროს ნაწილი - დიდი ბრიტანეთი, ევროპის პოლიტიკურ ლიდერობაში მისი მეტოქე საფრანგეთი და ეკონომიკური გიგანტი შეზღუდული სამხედრო შესაძლებლობებით - გერმანია, ჯერ თავად გაერთიანდნენ და შემდეგ გააერთიანონ ევროპა? 5. შეძლებს თუ არა არაჰომოგენური ევროპა, თავისი, ხშირად, ძირეული განსხვავებებით, ინტერესებით, ბრექსიტებით და მსგავსით, რუსეთის, ჩინეთისა და აშშ-ის ოპონირებას, როდესაც, მიუხედავად თავისი შინაგანი სირთულეებისა, სამივე ეს ოპონენტი ცალკე ქვეყანას წარმოადგენს. როდესაც საქმე გვაქვს ავტორიტარულ ჩინეთთან და რუსეთთან და ძლიერი საპრეზიდენტო მმართველობის აშშ-თან, რომელიც ჯერ კიდევ გარკვეული დოზით ინარჩუნებს თავის იზოლაციონისტურ ტრადიციას და თავის იდეალისტურ საწყისებს. თან, ევროპის სამივე გლობალური მეტოქე ცალკე ცივილიზაციას წარმოადგენს - მართლმადიდებლური (მესამე რომის სტატუსის პრეტენზიის მქონე და ევროაზიური იდეის მატარებელი) რუსეთი, სინური ჩინეთი და იდეალისტურ და „ხელოვნურ“ საწყისებზე, კუნძულის ფსიქოლოგიის მქონე ამერიკა. ამერიკულ ცივილიზაციას ცალკე გამოვყოფ იმიტომაც, რომ აქ არ „მოუკლავთ ღმერთი მეცხრამეტე-მეოცე საუკუნეების მიჯნაზე და არ მიუღიათ შედეგად უღმერთო, ეშმაკთა სასპარეზოდ ქცეული საუკუნე - „აბსოლუტური კატასტროფა დედამიწაზე და ზეცაში“. სწორედ ევროპაში გამეფდა ის, რაც „ეშმაკნიში“ იწინასწარმეტყველა დოსტოევსკიმ და რისიც ყველაზე უფრო ეშინოდა ნიცშეს - რადიკალური იდეოლოგია, რომელიც ჩვენ დროს, მათ შორის, ვოკიზმად დაგვირგვინდა. 6. რამდენად რეფლექსირებულია ფ. ნიცშეს, ნ. ბერდიაევის, ო. შპენგლერის, პ. სოროკინის, ფ. კაფკას, ე. ჰუსერლის, ორტეგა ი გასეტის, მ. ჰაიდეგერის, ეგზისტენციალისტების, ფრანკფურტის სკოლის წარმომადგენლების, დისტოპისტი მწერლების შეხედულებები დასავლური საზოგადოების კრიზისულობაზე და გარდაუვალ აღსასრულზეც კი? იმის თაობაზე, რომ კრიზისი მთლიანად მოიცავს დასავლეთის კულტურასა და საზოგადოებას, მის ყველა ძირითად ინსტიტუტს, პოლიტიკას, ეკონომიკას, ხელოვნებასა და მეცნიერებას, სამართალს და მორალს. ბევრი ევროპელი და აზიელი მოაზროვნე, განსაკუთრებით მეოცე საუკუნეში, მიიჩნევდა, რომ სამყაროს ცენტრი ინაცვლებს ევროპიდან ამერიკაში, აღმოსავლეთში, აზიაში და, თუნდაც, აფრიკაში. რამდენად რეფლექსირებულია, რომ გამოღვიძებას არ საჭიროებს დიდი ნაწილი არადასავლური სამყაროსი. კრიზისულობა და ამ კრიზისულობიდან გამოსვლისთვის გამოღვიძება მხოლოდ ევროპას (თან მის გარკვეულ ნაწილს) ეხება, როგორც ამას სლავოი ჟიჟეკი თვლის. 7. შეძლებს თუ არა პოლიტკორექტული ევროპა იმის აღიარებას, რომ ადამიანის უფლებებისა და თავისუფლების კომპლექსში (დასავლეთის დიადი პროდუქტი) თანდათან ინტეგრირდება იდეები, რომლებიც ეწინააღმდეგება ქრისტიანულ, ტრადიციულ მორალურ წარმოდგენებს ადამიანზე, ცოდვებზე?

- თუ შეიძლება, დააკონკრეტეთ...

- ქრისტიანობის როლის ვერგანსაზღვრა ევროპული კულტურის წარსულში და აწმყოში ევროკავშირის მიერ ევროკონსტიტუციის ვერმიღების ერთ-ერთი მიზეზი იყო. სპეციალისტები წერენ ევროპაში სეკულარიზაციის პროცესის გაღრმავებაზე, ვერსუს რესეკულარიზაციულ პროცესებზე ამერიკაში და დანარჩენ სამყაროში (იმავე აზიაში). რელიგიურ და სეკულარულ ხედვებს შორის არსებული ფუნდამენტური წინააღმდეგობა ადამიანის ღირსებაზე, ძირითადად, ევროპული ფენომენია. კი, ევროპა „მიჩვეულია“ მსგავს დაპირისპირებებს ხედვებს შორის, მაგრამ „შარლ ებდოს“ ამბავმა ამ დაპირისპირებას განსაკუთრებული დრამატიზმი და ჩიხურობის ელემენტი შესძინა, რადგანაც აქ საუბარია არა ერთი კულტურის ხალხთა შორის ხედვების კონკურირებაზე და, თუნდაც, შერკინებაზე. საუბარია იმაზე, რომ ერთი და იგივე ქვეყნის მოქალაქეთა ნაწილისთვის „წმინდა ძროხას“ წარმოადგენს, სეკულარული თავის საფუძველში, სიტყვის თავისუფლების უფლება, ხოლო მეორე ნაწილისთვის - არასეკულარული თავის საფუძველში, რელიგიური ღირსების დაცვის უფლება. რამდენად მნიშვნელოვანია თანამედროვე სამყაროში ევროპული სეკულარული ლიბერალური ფასეულობები? რამდენად მნიშვნელოვანია ისინი თვით ევროპაში? რამდენად შეუწყობს ხელს ეს იდეური გაურკვევლობა და დაპირისპირება ევროპის პოზიციების გაძლიერებას თანამედროვე სამყაროში, რომელშიც ძლიერდება ახალი იდენტობის ძიებისა და რესეკულარიზაციის პროცესები?

- საბოლოოდ რა დასკვნამდე მივდივართ?

- გულწრფელად მინდა ვუსურვო ევროპას წარმატებები გამოღვიძებაში და თავისი ღირსეული ადგილის დაკავებაში თანამედროვე სამყაროში. თუ ეს მოხდება, სამყარო უფრო პროგნოზირებადი, მრავალფეროვანი და დემოკრატიული გახდება. ამავე დროს, ვაცნობიერებ, რომ ევროპაში ძალიან ბევრი პრობლემა დაგროვდა, რომლებიც ამ „გამოღვიძებას“ ხელს შეუშლის. ეტყობა, ყველაფერი ამ და სხვა ბევრი პრობლემის იდენტიფიცირებით და აღიარებით უნდა დაიწყოს.

ჩინეთი რუსეთის გვერდის ავლით სარკინიგზო დერეფანს ავითარებს

ირმა ცეცხლაძე 577 20 45 63

„ჩინეთი რუსეთის გვერდის ავლით ჩინეთ-ყირგიზეთ-უზბეკეთის სარკინიგზო დერეფანს ავითარებს“, - აღნიშნულია სატრანსპორტო დერეფნის კვლევის ცენტრის მიერ გამოქვეყნებულ პუბლიკაციაში

მათი ცნობით, საუბარია ჩინეთ-ყირგიზეთ-უზბეკეთის სარკინიგზო დერეფნის მშენებლობის პროექტზე, რომელსაც საფუძველი გასული წლის ბოლოს ჩაეყარა.

„ჩინეთ-ყირგიზეთ-უზბეკეთის სამი სახელმწიფოს დამაკავშირებელი სარკინიგზო მაგისტრალის საერთო სიგრძე 486 კმ-ს შეადგენს. ტექნიკურ-ეკონომიკური დასაბუთების საფუძველზე, ტრასა დაიწყება ჩინეთის ქალაქ კაშგარიდან, გაივლის ჩინეთის ტერიტორიაზე 164 კმ-ს, შემდეგ გაგრძელდება ყირგიზეთის ტერიტორიაზე, სადაც ტრასის ძირითადი ნაწილი - 312 კმ-ია განთავსებული, შემდგომ 10 კმ ახალი რკინიგზა აშენდება უზბეკეთის ტერიტორიაზე და მიუერთდება უზბეკეთის არსებულ სარკინიგზო ქსელს. საინვესტიციო ხელშეკრულების მიხედვით, პროექტის საერთო ღირებულება 4.7 მილიარდი დოლარია, სხვადასხვა შეფასებით, პროექტის ღირებულება, სავარაუდოდ, 8 მილიარდ დოლარამდე გაიზრდება. პროექტის რეალიზებისათვის შექმნილია ერთობლივი „ჩინეთ-ყირგიზეთ-უზბეკეთის“ საწარმო, რომელშიც ჩინეთის წილობრივი მონაწილეობა 51%-ია, დანარჩენი ორი მონაწილის - 24,5-24,5%.

რაც შეეხება მხარეთა ფინანსურ კონტრიბუციას, პროექტის ღირებულების ნახევარი - 2,35 მილიარდი დოლარი ჩინეთის კრედიტი იქნება, რომელსაც ჩინეთის ნაციონალური ბანკი და „ინექსიმ ბანკი“ გასცემს. მეორე ნახევარს, 2.35 მილიარდ დოლარს კი სამივე ქვეყანა გაინაწილებს - ჩინეთი 1,18 მილიარდ დოლარს, უზბეკეთი და ყირგიზეთი თითოეული - 573 მილიონ დოლარს. წინასაწარი გათვლებით ნავარაუდევია, რომ მშენებლობა 2032 წელს დასრულდება, ამ პერიოდისთვის გადაზიდვების წლიური მოცულობა 5 მლნ ტონას მიაღწევს.

იხ. მე-8 გვ.

ხელოვნების ცენტრის შენობას კაპიტალური რემონტი უტარდება

მანანა ძიძიშვილი 598 24 94 97

ერთი წელია, რაც ბათუმის სახელმწიფო მუსიკალური ცენტრის ხელმძღვანელობა შეიცვალა - მისი დირექტორი ინგა დავითაძე, ხოლო სამხატვრო ხელმძღვანელი ზვიად ბოლქვაძე გახლავთ. ბათუმელები იმასაც შეამჩნევდნენ, რომ ბოლო რამდენიმე თვეა, ხელოვნების ცენტრში არავითარი ღონისძიება არ იმართება. საქმე ისაა, რომ ცენტრს სერიოზული კაპიტალური რემონტი უტარდება

ახალი ხელმძღვანელობის მოსვლის დღიდან, რემონტთან დაკავშირებით, შედგა პროექტები, გამოცხადდა ტენდერები და გასული წლის ბოლო დღეებში სარემონტო სამუშაოები დაიწყო, რომლის დასრულებას ერთ-ორ თვეში ვარაუდობენ. რემონტი სპეციალურად ზამთრის პერიოდს დაამთხვიეს, რადგან ამ დროს მნიშვნელოვანი ღონისძიებები არ ტარდება.

ამ დღეებში ხელოვნების ცენტრს ვეწვიეთ, სარემონტო სამუშაოების მიმდინარეობა მოვინახულეთ. გავესაუბრეთ როგორც მუსიკალური ცენტრის ხელმძღვანელობას, ასევე, იმათ, ვინც უშუალოდ ასრულებს ამ სამუშაოებს - ესაა სხვადასხვა დაწესებულება, მათ შორის, ფირმები - „ბესტ კლიმატი“ და „გრანდ ვილი“.

ზვიად ბოლქვაძე:

- მნიშვნელოვანია, რომ ცენტრში კარგი გუნდი ჩამოყალიბდა, ყველას თავისი მიმართულება აქვს და ამ ხაზით საქმიანობს, ყველა მუშაობის ჩვეულ რიტმს ვუბრუნდებით. სანამ რემონტი დასრულდება, რეპეტიციები ცენტრის სხვა შენობაში მიმდინარეობს. შარშან კაპელამ საკუთარი პროექტები განახორციელა, არც ორკესტრი გაჩერებულა, ღონისძიებებს სულ ატარებდნენ, საოპერო დასიც მშვენიერი ნამუშევრით წარსდგა მსმენელის წინაშე - „ლელა“ დაიდგა. გაიმართა ამ ოპერის სამი შესანიშნავი პრემიერა. წელს გვინდა, კიდევ ერთი სპექტაკლი შევთავაზოთ მსმენელს, თუ - რა, ამას საიდუმლოდ დავტოვებ... ახალგაზრდული თეატრიც მუშაობს. ქალბატონი ინგა შესანიშნავად ხელმძღვანელობს ყველაფერს. მას კოლექტივთან ურთიერთობის არაჩვეულებრივი უნარი აღმოაჩნდა, ყველას უყვარს, ძალიან წესიერი ადამიანი, საქმეში შეუვალი, საკმაოდ მომთხოვნი, თავისი საქმის ოსტატია. წელსაც ჩავატარებთ კონკურს-ფესტივალს სახელწოდებით „ნიჟარა“, სადაც აჭარის ახალგაზრდებს საკუთარი შემოქმედების საზოგადოებისთვის გაცნობის შესაძლებლობა ეძლევათ. მათ შეაფასებენ პროფესიონალები, მისცემენ რჩევებს და ეს იქნება სტიმული შემდგომი მუშაობისა და წარმატებისთვის. კონკურს-ფესტივალის ფარგლებში, მათივე მონაწილეობით, სხვადასხვა ღონისძიება გაიმართება.

ინგა დავითაძე:

- ზვიადი რომ არ მედგას გვერდით, ვერაფერს გავაკეთებდი. ყველა გადაწყვეტილებას ერთად ვიღებთ. აქ რომ მოვედი, არაერთი პრობლემა დამხვდა... ყველაფერი ზედაპირულად იყო გაკეთებული. სცენა თითქმის „შიშველი“ დაგვხვდა. ღონისძიებებზე, პულტიდან დაწყებული, ყველაფერს ვქირაობდით, განათება, პროექტორი საკმაოდ ძვირად ღირებული სიამოვნება გახლდათ. ახლა ყველაფერი შევიძინეთ (ტენდერით), გამჭვირვალედ. მალე მიკროფონებსაც შევიძენთ. ბატონი ზვიადის დახმარებით, აკუსტიკური სისტემის გასამართად, ჩამოვიყვანეთ ექსპერტები. რემონტი როცა დავიწყეთ, აღმოჩნდა, რომ შენობის წინ კიბეები მოშლილი იყო და მისი ჩავარდნის საშიშროებაც კი იდგა. ახლა ყველაფერი კაპიტალურად კეთდება.

დავით გოგიტიძე, მთავარი მემანქანე, ტექნიკური ხელმძღვანელი:

- ცენტრში გახსნის დღიდან ვმუშაობ. მიხარია, რომ მალე ყველაფერი გამართულად იმუშავებს. აქ ძალიან დიდი ტექნიკური ხარვეზები იყო. ახლა ყველაფერი მაღალ დონეზე კეთდება. მადლობა ყველას, ვინც ასე სერიოზულად მიუდგა ამ საქმეს.

ალექსანდრე შველიძე, ბათუმის სახელმწიფო მუსიკალური ცენტრის უსაფრთხოებისა და შრომის დაცვის მენეჯერი:

- გამორჩეული სამუშაო, რაც კეთდება ტენდერებით, გათბობა-გაგრილების სისტემის სარეაბილიტაციო სამუშაოებია. თავის დროზე გაყვანილობები გაკეთებული იყო რკინის მილებით, რომლებიც დროთა განმავლობაში მიწაში დაიჟანგა და გაფუჭდა.

ახლა ყველაფერი თანამედროვე ტექნოლოგიებით კეთდება - დაჟანგული რკინა პლასტმასის მილებით შეიცვალა. შენობის წინა მხარეს ფართომასშტაბიანი სამუშაო მიმდინარეობს. მთლიანად დაისხა ბეტონის ფილა. აქ კაბელებიც ავარიულ მდგომარეობაში იყო. ყველა სამუშაოს ახალი პროექტის მიხედვით ვატარებთ. გათბობა-გაგრილების სისტემისთვის სპეციალური არხი მოეწყო, რომელიც ბეტონით დაიფარება. მასზე ათი ლუქი გაკეთდება, რაც, საჭიროების შემთხვევაში, პრობლემის აღმოფხვრაში დაგვეხმარება. გარდა ამისა, ზოგიერთ ადგილზე შენობას არ ჰქონდა მოაჯირი, არც შადრევნის გარშემო იყო, რაც დაუშვებელია - ესეც გაკეთდება. შენობის ირგვლივ განათების გაყვანილობა ამორტიზებულია და განახლებას საჭიროებს, ასევე, მეორე და მესამე სართულებზე, ღია ტერასებზე საჭიროა გარკვეული სამუშაოების ჩატარება. მალე ვიდეოსათვალთვალო სისტემაც გაკეთდება და სახანძრო უსაფრთხოებასთან დაკავშირებული სარემონტო სამუშაოები ჩატარდება.

ალექსანდრე სალუქვაძე, ფირმა „გრანდ ვილის“ საქმისმწარმოებელი:

- ჩვენი დაწესებულება სარეაბილიტაციო სამუშაოებს აწარმოებს. გვევალებოდა ფასადის წინ არსებული ფართის მოწყობა. აქ სრულიად აიყარა ძველი, მოჭიმული იატაკი, ფილებიც ავიღეთ. აქ ელექტრობაც მთლიანად შეიცვალა. სამი დღეა, რაც წყალგაუმტარი ბეტონი დაისხა, გაშრობის შემდეგ იზოლაცია გაუკეთდება, დაიგება ფილები. ვცდილობთ, ყველაფერი მაღალ დონეზე გავაკეთოთ.

სპეციალისტების აზრით, მეწყრული პროცესების გააქტიურებაა მოსალოდნელი

აჭარის მთიანეთის მთელ ტერიტორიაზე ისევ თოვლია. თუ როგორ გაუმკლავდნენ სტიქიის შემოტევას შუახევის მუნიციპალიტეტის ჭვანის თემში, ამაზე შუახევის მერის წარმომადგენელი ამ ადმინისტრაციულ ერთეულში ვახტანგ ნაკაშიძე გვესაუბრება

- ზამთარი იყო და რჩება ჩვენი მოსახლეობისთვის დიდ და რთულ გამოწვევად. ბოლო წლებში ასე ბარაქიანად არასდროს მოუთოვია. ჯერ იყო და, ოქტომბერში მოსულმა თოვლმა სერიოზული ზარალი მოგვიტანა. ფერმერებმა ხეხილის ბაღებიდან დამტვრეულ-დატეხილი ნარჩენების გამოტანაც ვერ მოასწრეს, ისე მოთოვა. აქაური მკვიდრი ხეხილის ბაღების გასხვლა-გაფორმებას თებერვალში იწყებს. წელს ეს სამუშაოებიც დიდთოვლობამ გადაავადა.

ასაკოვან ადამიანებსაც კი იშვიათად ახსოვთ ასეთი უხვთოვლიანი ზამთარი, ტემპერატურაც მკვეთრად დაეცა.

მთაში მცხოვრები ადამიანები სტიქიას ყოველთვის უმკლავდებიან და ზარალიც ამ ეტაპზე ნაკლებია. არ ჩვევია აქაურს წუწუნი. სტიქიის შემოტევისა თუ მომდევნო დღეებში, ერთი ზარიც კი არ შემოსულა პროდუქტების, ნიჩბის ან თხილამურების მოთხოვნით. მარაგიც აქვთ და საჭიროების შემთხვევაში, გამოსაყენებელ ნივთებსაც საგულდაგულოდ ინახავენ.

- თოვლის ასეთი რაოდენობა, სავარაუდოდ, აპრილში მეწყრულ პროცესებს გააქტიურებს...

- ცალკეულ ტერიტორიებზე ზვავები ჩამოწვა. საბედნიეროდ, დიდი ზარალი არ მოუტანია. ამინდის გაუარესების პერიოდში მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების, სხვა სამსახურების თანამშრომლები მოსახლეობას ვაფრთხილებდით, თავი შეეკავებინათ გადაადგილებისგან. თემის რამდენიმე ტერიტორიაზე (ცეკვა, დარგულა, ცივაძეები, წყაროთა, ზედა ახალდაბა, ზედა ყანა) მეწყრული კერები გვაქვს. სპეციალისტებს თუ ვერწმუნებით, მეწყრული პროცესების გააქტიურება მოსალოდნელია.

- სასოფლო-სამეურნეო სამუშაოებთან ერთად შეფერხებულია ის პროგრამები და პროექტები, რომლებიც წელსაა გასაკეთებელი. ამ პრობლემის დასაძლევად რას აპირებთ?

- მოსახლეობის ცხოვრების დონის ამაღლება, სიღარიბის ზღვარზე მყოფი ოჯახების სოციალური ყოფის გაუმჯობესება ისევ რჩება ჩვენი საქმიანობის მთავარ მიმართულებად. მერიის შესაბამისმა სამსახურებმა უკვე რამდენიმე პროექტზე კონკურსი გამოაცხადეს. კონკურსში გამარჯვებულ ფირმებსა და მეწარმეებს, წინა წლების მსგავსად, მეთვალყურეობას დავუწესებთ, რათა სამშენებლო თუ სარემონტო სამუშაოები ხარისხიანად და ხელშეკრულებით ნაკისრ ვადებში შეასრულონ.

- ერთობ გახმაურებული და მნიშვნელოვანი პროექტია ოთოლთას (ტაკიძეები) ციხის რესტავრაცია-კონსერვაცია. რა მოლოდინი გაქვთ?

- კულტურული მემკვიდრეობის ამ ძეგლზე სამუშაოები შარშან უნდა დაწყებულიყო, მაგრამ, ობიექტური მიზეზების გამო, გადაიდო. საქართველოსა და აჭარის კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტოების ხელმძღვანელები კეთილ საქმეს იწყებენ. ამ ძეგლ-



ის გადარჩენა ისტორიული წარსულის გაცოცხლებაა. იგი მნიშვნელოვანი ტურისტული ობიექტი გახდება.

- სხვა ისტორიული ძეგლები რა მდგომარეობაშია?

- მისახედია ხიჭაურის ციხეც. ამ ძეგლთან მისასვლელი ტურისტული ბილიკი ადგილობრივი ბიუჯეტიდან მობილიზებული თანხებით გაკეთდა, მაგრამ კიდევ მეტია გასაკეთებელი. საჭირო თანხები არის, რომ ხიჭაურიდან ამ ციხემდე საბაგირო გზა გაკეთდეს. ჩვენი ადმინისტრაციული ერთეულის ტერიტორიაზეა ხიჭაურის დასახლება, სადაც საქართველოს საპატრიარქოს ხიჭაურის წმინდა აბუსერისძე ტბელის სასწავლო უნივერსიტეტი და სხალთის ეპარქიის რეზიდენცია გვაქვს. ეს ორი ობიექტი უკვე ტურისტების ყურადღების არეალშია. აქ მოსული ვიზიტიორი საბაგირო გზით ციხესთანაც მივა და მშვენიერი პეიზაჟებითაც დატკბება.

- სოფელ ჭალაში დაწყებული ტაძრის მშენებლობა თუ გაგრძელდება?

- ჩემთვის დიდი პატივი იყო, რომ ამ ტაძრის მშენებლობის დაწყების ინიციატორმა, აწ განსვენებულმა ბიზნესმენმა სანდრო შარაშიძემ სამშენებლო სამუშაოების წარმოება მანდო. 2012 წელს გურიიდან ჯვარი რომ გადმოვასვენეთ, იმ მშენებარე ტაძარშია დაბრძანებული, რაც თითოეული ჭვანელისთვის საამაყოა. ჩვენი ხეობის მკვიდრი ბიზნესმენები მზაობას გამოთქვამენ, რომ საჭირო თანხები გაიღონ დაწყებული დიდი საქმის დასასრულებლად. ყველანი საპატრიარქოსა და ეპარქიის შესაბამისი სამსახურებისგან ნებართვას ველოდებით.

- გურიიდან ჯვარი რომ გადმოაბრძანეთ, მაშინ ჯვარიმინდორი ტურისტულ ლოკაციად არ ითვლებოდა. 12 წლის განმავლობაში მრავალი რამ შეიცვალა...

- ჯვრის გადმობრძანებამ სათავე დაუდო სახალხო დღესასწაულ „ჯვარიმინდვრობას“, რომელიც 2013 წლიდან მოყოლებული აღინიშნება. ხეობაში არსებულ ისტორიულ ძეგლებთან ერთად, ჯვარიმინდორი, ლელთისა და ჭინჭაოს ტბები, ხაბელაშვილების „წისქვილების სოფელი“, შუშნის კლდე, კარჩხალის ქვაკაცა, პერანგა ტურისტებს წელიწადის ოთხივე დროში მოიზიდავს. უკვე საავტომობილო გზების კეთილმოწყობაც მთავრდება, რაც აჭარის საავტომობილო გზების დეპარტამენტის ხელმძღვანელობის დამსახურებაცაა. მთა თაგინურზე მისასვლელ გზაზეც ბეტონის საფარის დაგებას გვპირდებიან.

დიდთოვლობის დროს დაეხმარნენ...

უკან დარჩა სირთულეები, რაც საქართველოს მასშტაბით ერთკვირიან დიდთოვლობას მოჰყვა. სტიქიის შემოტევის პერიოდში მაქსიმალურად ვცდილობდით, მკითხველამდე მიგვეტანა მიმდინარე მოვლენების ამსახველი ის ფაქტები, რასაც თავად ვაწყდებოდით, ან სოფლებში ჩარჩენილები გვაწვდიდნენ. ნათქვამია, ურემი რომ გადაბრუნდება, გზა მერე გამოჩნდებაო... რა თქმა უნდა, არაერთი ამბავი მკითხველამდე მისატანი დარჩა. ამიტომაც დღეს შევეცდებით, ნაწილობრივ მაინც, იმ ადამიანებზე მოგიყვეთ, რომლებიც მეზობლებს, თანასოფლელებს მხარში ამოუდგნენ და დიდთოვლობის დროს პრობლემების გადალახვაში დაეხმარნენ

60 წელსაა გადაცილებული გორელი (შუახევის რაიონი) ოთარ ფუტკარაძე. იგი გადაუდებელ სამედიცინო ჩარევას საჭიროებდა. მეზობლის გასაჭირი ყურად იღო ვახტანგ (სულიკო) ფუტკარაძემ. მან, პირველ რიგში, აჭარის უმაღლესი საბჭოს წევრი ფრიდონ ფუტკარაძე და შუახევის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე მირიან აბაშიძე ჩართო საქმეში. თოვლსა და ქარბუქში ავადმყოფი ჯერ ტრაქტორით, შემდეგ კი ვახტანგის „ჯიპით“ სამედიცინო დაწესებულებაში გადაიყვანეს.

სოფელ ცინარეთში ზამთრობით საცხოვრებელი სახლების ნახევარზე მეტი გამოკეტილია. აქ 4 დღეში მოსული თოვლის საფარი 2,5 მეტრს აღწევდა. სკოლის დირექტორ ნათელა ბახტაძეს არ გამოპარვია, რომ ქარბუქისგან სახურავის ერთ ფლიგელზე დაგროვილი თოვლი სკოლის შენობას საფრთხეს უქმნიდა. დახმარებისთვის მეზობლებს მიმართა. ჯემალ დიასამიძემ, ჯემალ, მიხეილ მელიტონის ძე, მიხეილ მერჯანის ძე აბუსელიძეებმა, თეიმურაზ კეჟერაძემ თავიანთი შვილების საგანმანათლებლო კერის გადასარჩენად შესაძლებლობის მაქსიმუმი გააკეთეს. დურგალმა თეიმურაზ კეჟერაძემ დაზიანების პირას მისული სახურავქვეშა კოჭებიც გაამაგრა. სკოლის შენობის შემდეგ ბიჭებმა დროებით უპატრონოდ დარჩენილი სახლების სახურავებიც გადმოთოვლეს.

არანაკლები ჯაფა დაადგათ შუახევის მერის წარმომადგენელს ჭვანის ადმინისტრაციულ ერთეულში ვახტანგ ნაკაშიძესა და მის მეზობლებს. დროული მიშველება რომ არა, წყაროთის საჯარო სკოლის, ბაგა-ბაღის, „სოფლის სახლის“ შენობებს თოვლი დააზიანებდა.

დაბა შუახევის ცენტრს 25 კილომეტრითაა მოშორებული სოფელი ინწკირვეთი. სავარაუდოდ, აქ თოვლი აპრილის ბოლომდე იქნება. ზურაბ და ლევან შარაშიძეებს მეზობლებსა და მეგობრებზე მზრუნველ პიროვნებებად იცნობენ. სწორედ მათი და რამდენიმე ინწკირვეთელის დამსახურებაა, რომ „სოფლის სახლის“, საჯარო სკოლის, საცხოვრებელი სახლების შენობები თოვლისგან დაზიანებას გადაურჩა.

ქედის რაიონის სოფელ ახოს მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი ნამეფვარიდან მოყვანილ წყაროს წყალს იყენებს სასმელად. თოვლმა მილები დააზიანა. მეზობლებმა დაზიანებული მილები შეაკეთეს. ხულოს რაიონის სოფელ საციხურში მთავარი წყალსადენი რომ დაზიანდა, ალტერნატიული წყაროგამონახეს და სოფელს სასმელი წყლის მიწოდება აღუდგინეს. მეზობლებმა ყველაფერი საკუთარი ინიციატივით გააკეთეს.

შუახევის რაიონის ხიჭაურის დასახლებაში 200-მდე ოჯახია, აქვეა საქართველოს საპატრიარქოს ხიჭაურის სასწავლო უნივერსიტეტი, ხიჭაურის წმინდა გრიგოლ ხანძთელის სახელობისა და ხიჭაურის საჯარო სკოლები, სავაჭრო და სამეურნეო დანიშნულების ობიექტები. მათ სასმელი წყალი 12 კილომეტრიდან მოყვანილი წყალსადენით მიეწოდება. დიდთოვლობამ, სოფელ ცხემლისის ტერიტორიაზე ჩამოწოლილმა ზვავმა მილები დააზიანა. შუახევის „კომუნალური სერვისის“ მუშაკებს დიდი ჯაფა დაადგათ, რომ მდინარე ოთოლთისწყალი მთავარი წყალსადენის მილებზე მიეერთებინათ. დასახლების მცხოვრებთა ერთი ნაწილი მათ გვერდით დაუდგა.

სტიქიის შემოტევისას დღვანელი (შუახევის რაიონი) მამაკაცები ბათუმში ჩარჩნენ. საცხოვრებელი სახლები, საზოგადოებრივი ობიექტები საფრთხის წინაშე იყო. ადგილზე მყოფ კაცებს ქალებიც მიეშველნენ და სკოლის, ბაგა-ბაღის შენობები დაზიანებას გადაურჩა.

სოფელ ქიძინიძეებში ემზარ აბაშიძის დროული და ოპერატიული მოქმედება რომ არა, სოფლის ადმინისტრაციის და სკოლის შენობებს სტიქია იავარქმნიდა.

გვერდი მოამზადა
ოთარ ცინარიძემ

„ყველაზე ემოციური მოხუცებთან განშორება იყო“

ბათუმელი ახალგაზრდები – სტიქიის ეპიცენტრში

თამარ ლამპარაძე 595 85 80 06

მიმდინარე წლის თებერვლის ბოლოს საქართველოში თოვლის სახით მოსულმა უხვმა ნალექმა განსაკუთრებით გურიის რეგიონი დააზიანა. სახელმწიფოს დახმარების პარალელურად, სოციალურ ქსელ ფეისბუქზე შეიქმნა ჯგუფი „მოხალისეები გურიისთვის“, სადაც საზოგადოება სტიქიისგან დაზარალებულების დასახმარებლად გაერთიანდა. მოხალისეთა რიგებში იყვნენ ბათუმელი ახალგაზრდებიც, რომლებიც 4 დღის განმავლობაში დაზარალებულებს ეხმარებოდნენ. ამის შესახებ ჩვენი დღევანდელი რესპონდენტი ***თემო აბაშიძე*** *გვესაუბრება.*

- რამ გიბიძგათ, რომ სტიქიის ზონაში წასულიყავით ადგილობრივთა დასახმარებლად?

- საერთოდ, ყოველთვის ვფიქრობდი, რომ ჩვენს საზოგადოებას ყველაზე მეტად ერთიანობა აკლდა, ამიტომ თითოეული ჩემი თანამოქალაქის ტკივილი საკუთარ ტკივილად უნდა აღმექვა და ამით, როგორც ერთ ინდივიდს, ჩვენი საზოგადოებისათვის სასიკეთო საქმე მეკეთებინა. ალბათ, ეს იყო მთავარი მამოტივირებელი სტიქიის ზონაში წასასვლელად. სიმართლე გითხრათ, ამ პროცესებმა აზრი შემაცვლევინა: ვნახე ძალიან ბევრი სხვადასხვა პროფესიისა და შეხედულების ადამიანი, რომლებიც ერთად, კოორდინირებულად მუშაობდნენ საერთო მიზნის მისაღწევად, რასაც ადამიანებზე ზრუნვა და თანადგომა ჰქვია.

- ვისთან ერთად წახვედით და როგორ შეიკრიბა ჯგუფი?

- მე და ჩემი მეგობრები - მათე ცენტერაძე და ელიზბარ ჩხიკვაძე წავედით. ჩვენს სამეულს შეიძლება მუშკეტერებიც კი ვუწოდოთ, რადგან თითქმის ყველა კრიტიკულ სიტუაციაში ერთად ვდგავართ, ჩვენი ჯგუფი ყოველთვის შეკრულია.

- მსგავს სიტუაციაში აქამდე აღმოჩენილხართ?

- ეს მოხალისეობრივი საქმიანობის პირველი გამოცდა იყო თავისი სირთულეებით, ასევე, პოზიტიური მოვლენებით ბევრი დადებითი ემოციისა და გამოცდილების საწინდარი გახდა.

- მოსახლეობა როგორ დაგხვდათ?

- ქართველი კაცი, მოგეხსენებათ, ბუნებით ამაყია. მიუხედავად რთული მდგომარეობისა, მაინც მორიდებულად გრძნობდნენ თავს. ყველაზე პოზიტიური და ამაღელვებელი მოხუცებთან შეხვედრა იყო, რომლებიც საერთოდ არ უყურებდნენ, თუ რა მიგვქონდა მათთვის. თვალებში სიხარულით შემოგვციცინებდნენ. ერთ-ერთმა მათგანმა ჩვენი დანახვა დღესასწაულს შეადარა. როცა მსგავსი დამოკიდებულებით გხვდება ადამიანი, რამდენად რთული და თოვლიანი გზაც უნდა გქონდეს გასავლელი, უკან არ იხევ.

- რა ემოცია დაგეუფლათ, როცა ადგილზე ჩახვედით? რა სიტუაცია დაგხვდათ?

- ავტობანიდან გზა ოზურგეთისკენ ფეხით გავაგრძელეთ. იგრძნობოდა, რომ რთული სიტუაცია იყო, თუმცა ბევრი კარგი ადამიანი შეგვხვდა, მანქანას გვიჩერებდნენ და გარკვეულ მანძილს მათთან ერთად გავდიოდით. გზადაგზა მხოლოდ დიდი გამავლობის მანქანები გვხვდებოდა. სოფლებში მდგომარეობა კიდევ უფრო რთული აღმოჩნდა. საავტომობილო გზები მხოლოდ ჩვენს ოთხფეხა მეგობრებს ჰქონდათ გაკვალული. მსგავს სურათს რომ ხედავ ყველაფერს კიდევ უფრო ემოციურად აღიქვამ.

იხ. მე-9 გვ.

„ეს გამოცდილება ძალიან მნიშვნელოვანია კარიერული განვითარებისთვის“

ლაშა ხომერიკი 593 50 82 69

სხვადასხვა სფეროში დასაქმებული ადამიანისთვის ძალიან მნიშვნელოვანი და საამაყოა დასავლურ ინსტიტუტებში ცოდნის გაღრმავება. ეს არა მარტო ახალგაზრდის პროფესიონალიზმს, არამედ სახელმწიფოს პრესტიჟსაც ამაღლებს. ამ მხრივ ჩვენი ქვეყანა გამორჩეულია, მრავალი ლექტორი, სტუდენტი, ახალგაზრდა ბიზნესმენი ეცნობა დასავლური ინსტიტუტების საქმიანობას, რაც მათი კრეატიული განვითარებისთვის უმნიშვნელოვანესია

ერთ-ერთი ასეთი ახალგაზრდა ჩვენი თანაქალაქელი ***ნინო კაკაბაძეა,*** *რომელიც არაერთ საგანმანთლებლო პროგრამაში მონაწილეობს. დამთავრებული აქვს ტურიზმის ფაკულტეტი, ახლახან გაცვლითი პროგრამის ფარგლებში ევროპაში იმყოფებოდა, დასავლური ავტორიტეტული ინსტიტუტები მოინახულა და მათი მუშაობის სპეციფიკას გაეცნო.*

- სხვადასხვა ევროპულ ინსტიტუტში თქვენი ვიზიტი როგორ წარიმართა და შეხვედრა ვისი თაოსნობით ჩატარდა?

- ვიზიტი ორგანიზებული იყო ევროპის აკადემიური ცენტრის მიერ, რომელიც ხელს უწყობს განათლებისა და პროფესიული განვითარების გაძლიერებას საერთაშორისო დონეზე. ცენტრის თაოსნობით, ქართულ დელეგაციას საშუალება მიეცა, დასწრებოდა საინფორმაციო შეხვედრებს ევროპარლამენტში, ევროპის საბჭოში, ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოსა და ევროპის ცენტრალურ ბანკში. ვიზიტისას, სხვადასხვა პროცესიდან გამომდინარე, არ გვქონდა შესაძლებლობა, პირადად შევხვედროდით რომელიმე წარმომადგენელს.

- ჩვენი რეგიონიდან, თქვენ გარდა, ვინ ესწრებოდა ამ ღონისძიებებს?

- პროგრამაში ასევე, მონაწილეობდა ანა სარიშვილი, რომელიც გახლავთ შპს „ბიიზის“ თანადამფუძნებელი და დირექტორი. გარდა ამისა, საქართველოს რეგიონებიდან იყვნენ სხვადასხვა პროფესიის წარმომადგენლები, მათ შორის იურისტები, ფინანსისტები, ბუღალტრები და სტუდენტები.

- ცხადია, ახალგაზრდისთვის, ტურიზმში დასაქმებული ადამიანისთვის მნიშვნელოვანია უცხოურ ინსტიტუტებში მონაწილეობა და ცოდნის გაღრმავება...

- ვიზიტის ფარგლებში მოვინახულეთ: ევროპარლამენტი (სტრასბურგი), სადაც გავეცანით საკანონმდებლო პროცესებს და პარლამენტის მუშაობის პრინციპებს, ასევე, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო, დავესწარით დიდი პალატის სხდომას და განვიხილეთ ადამიანის უფლებათა დაცვის მექანიზმები. მოვინახულეთ ევროპის საბჭო. აქ გვქონდა საინფორმაციო შეხვედრა და გავიგეთ, თუ როგორ იმართება სხდომები და მოლაპარაკებები. ასევე, ევროპის ცენტრალურ ბანკში (ფრანკფურტი) გავეცანით ფინანსური მმართველობის სისტემას და ევროზონის სტრუქტურას. ფრანკფურტის საფონდო ბირჟაზე მოვისმინეთ საინფორმაციო სესია გლობალურ ფინანსურ ბაზრებზე.

- როგორც აღნიშნეთ, შეხვედრები გქონდათ ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოსა და ევროპის პარლამენტში...

- ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში დავესწარით დიდი პალატის სხდომას, სადაც განიხილებოდა საქმე „Tsaava and Others vs Georgia“. პროცესი ეხებოდა 2019 წლის 20-21 ივნისის მოვლენებს, რაც მნიშვნელოვანი საკითხია ადამიანის უფლებათა დაცვის კუთხით. ევროპარლამენტში ვიზიტისას გავეცანით საკანონმდებლო პროცესსა და ევროკავშირის პოლიტიკის ფორმირების პრინციპებს.

- ძირითადად რა საკითხები განიხილეთ?

- შეხვედრები ფოკუსირებული იყო ადამიანის უფლებებზე, დემოკრატიულ მმართველობაზე, ევროკავშირის კანონმდებლობაზე, ფინანსურ სტრუქტურებსა და საერთაშორისო ურთიერთობებზე.

- ევროპარლამენტარებთან თუ გქონდათ შეხვედრა?

- შეხვედრები საინფორმაციო ხასიათის იყო და არ გვქონია შესაძლებლობა, პირადად შევხვედროდით ევროპარლამენტარებს სხვადასხვა გარემოების გამო.

- თქვენზე რომელმა საერთაშორისო ინსტიტუტმა მოახდინა ყველაზე დიდი გავლენა?

- ყველაზე მნიშვნელოვანი და საინტერესო გამოცდილება ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში გამართული სხდომა იყო. დიდი პალატის სხდომაზე, „Tsaava and Others vs Georgia“ საქმეზე დასწრება განსაკუთრებული გამოცდილება აღმოჩნდა, რადგან რეალურ პროცესში ვიხილეთ საერთაშორისო სამართლის მოქმედება, არგუმენტაციის წარდგენა და ადამიანის უფლებათა დაცვის მექანიზმები. ეს შემთხვევა განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო საქართველოს სამართლებრივი და დემოკრატიული განვითარების კუთხით, რადგან ის 2019 წლის 20-21 ივნისის მოვლენებს ეხებოდა. სასამართლოს ფორმალური პროცესი, მოსამართლეების კითხვა-პასუხი და მხარეთა პოზიციების გაცვლა ძალიან შთამბეჭდავი და საგანმანათლებლო იყო.

- ევროპარლამენტარებთან თუ გქონდათ უკრაინასთან დაკავშირებული კითხვები?

- ჩვენი ვიზიტის ფარგლებში არ გვქონია დისკუსია უკრაინის საკითხზე, რადგან შეხვედრები ფოკუსირებული იყო „ცაავას საქმესა“ და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს საქმიანობაზე.

- უცხოელ თანატოლებთან თუ გქონდათ შეხვედრა?

- პროგრამა მოიცავდა ქართველი დელეგაციის ვიზიტს უცხოურ ინსტიტუტებში, შესაბამისად, სტუდენტებსა და სხვა ახალგაზრდებს მხოლოდ ვიზიტების დროს შევხვდით. შეხვედრები, ძირითადად, იყო საინფორმაციო ხასიათის, სადაც ვიღებდით ინფორმაციას ევროპული ინსტიტუტების მუშაობაზე. უშუალო დისკუსიებისა და არაოფიციალური შეხვედრების შესაძლებლობა არ გვქონია, თუმცა ვიზიტების ფარგლებში მივიღეთ საერთაშორისო გამოცდილება და განსხვავებული პერსპექტივები მოვისმინეთ.

- და მაინც, უმთავრესად რით იყო მნიშვნელოვანი ევროპული ინსტიტუტების მონახულება?

- ეს ვიზიტი იყო პრაქტიკული განათლების უნიკალური შესაძლებლობა. თეორიული ცოდნის გარდა, ჩვენ ვნახეთ, როგორ მუშაობს ევროპული სამართალი, პოლიტიკა და ეკონომიკა - რეალურ კონტექსტში. ეს გამოცდილება ძალიან მნიშვნელოვანია საინფორმაციო და აკადემიური კუთხით, ასევე, კარიერული განვითარებისთვის.

- გვიამბეთ ევროპის აკადემიურ ცენტრსა და მის საერთაშორისო პროგრამებზე.

- ევროპის აკადემიური ცენტრი დაარსდა 2009 წელს და მას შემდეგ აქტიურად ახორციელებს როგორც ადგილობრივ, ასევე, საერთაშორისო საგანმანათლებლო პროგრამებს სკოლის მოსწავლეებისთვის, სტუდენტებისა და ზრდასრულებისთვის. ცენტრის საქმიანობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიმართულება არის ახალგაზრდებისა და პროფესიონალებისთვის ისეთი პროექტების ორგანიზება, რომლებიც ხელს უწყობს მათი ცოდნის გაღრმავებას და საერთაშორისო გამოცდილების შეძენას. ცენტრის ერთ-ერთი გამორჩეული პროგრამაა ევროპარლამენტის მოდელირება, რომელიც ახალგაზრდებს აძლევს შესაძლებლობას, გაიღრმავონ ცოდნა ევროპული პოლიტიკური პროცესებისა და დემოკრატიული მმართველობის შესახებ. ამასთან, ცენტრი ორგანიზებას უწევს საგანმანათლებლო ვიზიტებს სტრასბურგსა და ბრიუსელში, სადაც მონაწილეები უშუალოდ ეცნობიან ევროპული ინსტიტუციების საქმიანობას. ევროპის აკადემიური ცენტრის მთავარი მიზანია საგანმანათლებლო და აკადემიური სივრცის შექმნა, რომელიც ახალგაზრდებს სთავაზობს კრიტიკული აზროვნების, ლიდერობის და საერთაშორისო ურთიერთობების განვითარების შესაძლებლობას. ცენტრი ხელს უწყობს ახალგაზრდების აქტიურ მონაწილეობას დემოკრატიულ პროცესებში და მათ ინტეგრაციას ევროპულ საგანმანათლებლო და კულტურულ სივრცეში.

- სამომავლო გეგმებიც გაგვაცანით...

- ამ გამოცდილების შემდეგ, ვგეგმავ, კიდევ უფრო აქტიურად ჩავერთო საერთაშორისო საგანმანათლებლო პროექტებში. ასევე, მინდა ტურიზმისა და განათლების მიმართულებით ევროპულ სტანდარტებზე მორგებული პროგრამების შექმნა. ჩემს სტარტაპ ცენტრ „ბიიზიში“ მსურს საგანმანათლებლო ინიციატივების განვითარება, რაც ხელს შეუწყობს ახალგაზრდების შესაძლებლობების გაფართოებასა და ევროპულ გამოცდილებასთან დაახლოებას.

პირველი დოქტორი საქართველოში – დიპლომატიური დისკურსის განხრით

ლაშა ხომერიკი 593 50 82 69

ლაშა ბოლქვაძე ცხოვრების სტილითა და პროფესიული საქმიანობით იმ გამორჩეულ ადამიანთა რიცხვშია, საზოგადოების ყურადღებას რომ იპყრობენ. ეს ინტერესი ამ ახალგაზრდა, კრეატიულმა ადამიანმა ახლახან, როგორც იაპონური ენისა და კულტურის უბადლო მცოდნემ, თავისი სამეცნიერო ნაშრომითაც გააღვივა. მან არა მარტო აჭარაში, არამედ მთელ საქართველოში პირველმა მოიპოვა დოქტორის აკადემიური ხარისხი დიპლომატიური დისკურსის განხრით

თუ რა მნიშვნელობა აქვს აღნიშნულ დისერტაციას და რამდენად შეუწყობს ეს ხელს მთარგმნელობით საქმიანობაში, ამაზე ჩვენი სტუმარი, ბსუ-ის დოქტორი და ამავე უნივერსიტეტის იაპონური ენის ლექტორი ლაშა ბოლქვაძე გვესაუბრება.

- გილოცავთ დოქტორის აკადემიური ხარისხის მონიჭებას. დიპლომატიური დისკურსის განხრით პირველი დოქტორი ხართ. მოგვითხრეთ დისერტაციის თემისა და მისი მნიშვნელობის შესახებ, როგორ წარმართეთ მუშაობა? ვინ გედგათ მხარში?

- უპირველესად, მადლობა მოლოცვისათვის. არა მარტო აჭარაში, არამედ საქართველოში პირველად დაიწერა ნაშრომი დიპლომატიური დისკურსის ლინგვოკულტურულ სპეციფიკაზე (იაპონური და ქართული დიპლომატიური დისკურსის მიხედვით). საქართველოს პერსპექტიული განვითარება არა მხოლოდ ევროპასთან, არამედ აღმოსავლეთის ქვეყნებთანაცაა დაკავშირებული. გარკვეულწილად, ეს განპირობებულია საქართველოს უნიკალური გეოპოლიტიკური მდებარეობით. დიპლომატიური დისკურსის ენობრივი, კულტურული თავისებურების შესწავლა (იაპონური და ქართული ენების მასალაზე) ქართულ პროფესიულ სივრცეში სიახლეა. თარგმნის ლინგვოკულტუროლოგიური თავისებურებანი და ეფექტური მთარგმნელობითი ტრანსფორმაციები ინტენსიურად ისწავლება თანამედროვე თარგმანმცოდნეობაში, მაგრამ იაპონურ-ქართული და ქართულ-იაპონური თარგმანმცოდნეობის სფეროში ძალიან მცირეა მასალა. ვიმედოვნებთ, რომ ჩვენი კვლევა საშუალებას მოგვცემს, დავაზუსტოთ და გავაღრმაოთ ლინგვოკულტურული სპეციფიკის მრავალფეროვანი პალიტრა, რაც საინტერესო მთარგმნელობითი გამოცდილების მომტანი იქნება. ჩემს ნაშრომში განხილულია ნაკლებად შესწავლილი ქართულ-იაპონური დისკურსის თარგმნის ლინგვოკულტურული პრობლემები. ნაშრომში გაანალიზებული მასალა და დასკვნები დაეხმარება ლინგვისტებს, მთარგმნელებს, ხელს შეუწყობს პროფესიული დიპლომატიური კადრების მომზადებას. მათი გამოყენება შეიძლება მთელი რიგი დისციპლინების პრაქტიკულ მეცადინეობებზე (სოციოლინგვისტიკა, ზოგადი თარგმნის თეორია და პრაქტიკა, ტექსტის ლინგვისტიკა და სხვა), ასევე, სარგებლობას მოუტანს პრაქტიკოს მთარგმნელებს დიპლომატიური დისკურსის თარგმნაში. იაპონურ-ქართული მიმოწერის ანალიზმა ცხადყო იაპონური კულტურის სპეციფიკა შემდეგ კონკრეტულ საკითხებში: ოფიციალური წერილების განსაკუთრებული ფორმატი, ეტიკეტური მიმართვების განსხვავებული პრინციპი (ქართული მიმართვების გენდერული ფორმები და იაპონური მიმართების ორიენტირება კომუნიკანტის სტატუსზე), ეთნოკულტურული რეალიების მრავალფეროვნება და მათი პრაგმატული ადაპტაციის ხერხები. ამ განსხვავებების გათვალისწინება უთუოდ გააუჯობესებს ურთიერთგაგებას და აამაღლებს კულტურათაშორისო კომუნიკაციის ეფექტურობას. ჩვენ მიერ სწორად და დროულად შერჩეულმა თემამ წარმატება და მაღალი შეფასება დაიმსახურა, შემფასებლები კი იყვნენ საქართველოს სხვადასხვა უნივერსიტეტის ქართველი პროფესორ-მასწავლებლები, დიპლომატები, საჯარო მოხელეები, იაპონელი პროფესორ-მასწავლებლები, დიპლომატები, ორივე ქვეყნის საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლები. დიდი მადლობა მინდა გადავუხადო ყველას, ვინც ამ მნიშვნელოვან საქმეში წვლილი შეიტანა. განსაკუთრებული მადლობა - ჩემს ხელმძღვანელს, ქალბატონ მარინე აროშიძეს, ასევე, იაპონელ რეცენზენტს - ბატონ ჰიროტაკე მაედას და ქართველ რეცენზენტებს - ბატონ ჯაბა მესხიშვილს, ქალბატონ ინდირა ძაგანიას და ქალბატონ ქეთევან სვანიძეს.

- როგორც იაპონური კულტურის ფესტივალის დამფუძნებელი - აჭარაში, რა პროექტებს განახორციელებთ?

- ჩვენმა ფესტივალმა გვაჩვენა დიდი პროგრესი და კიდევ უფრო დააახლოვა ორი ქვეყანა, რაც ძალიან საამაყოა საქართველოსთვის და, განსაკუთრებით, ჩვენი კუთხისთვის. იაპონიის ელჩმა უმნიშვნელოვანესად მიიჩნია ეს ფესტივალი და ხაზი გაუსვა ბათუმის როლს საქართველოში იაპონური კულტურის პოპულარიზაციაში, მოიხსენია ის, როგორც კულტურული გაცვლის ადგილი და ორი ქვეყნის დამაკავშირებელი „გული“. აქედან გამომდინარე, ვგეგმავთ, იაპონური კულტურის ფესტივალს უფრო მეტი კულტურული ღონისძიება დავამატოთ, როგორებიცაა საკურას ფესტივალი, ანიმეს ფესტივალი, სხვადასხვაგვარი ქართულ-იაპონური კონკურსები (იაპონელებისა და ქართველების მიერ შესრულებული), ფორუმები, სემინარები. ახლო მომავალში მზად გვექნება სამუშაო გეგმა, რომლითაც ვიხელმძღვანელებთ.

- უამრავ საქმეს ხართ შეჭიდებული, ფართოა თქვენი მოღვაწეობის არეალი... მაინც, რომელს გამოარჩევთ მნიშვნელობის მიხედვით?

- რთულია გამოყოფა, ვინაიდან ყველა მიმართულება მიყვარს, თუმცა დიპლომატია და მისი სახეობებიდან ერთ-ერთი განსაკუთრებით ახლოს არის... და ესაა კულტურული დიპლომატია.

- როგორც ვიცით, ბათუმში სტუმრად იმყოფებოდა იაპონელი ქართველოლოგი ჰიროკატე მაედა, რომელსაც შეხვდით...

- ჰიროკატე მაედა არის ტოკიოს მეტროპოლიტენის უნივერსიტეტის პროფესორი. მან შესანიშნავად იცის ქართული, თითქმის მთელი საქართველო მოიარა და აღფრთოვანებულია ქართველთა სტუმართმოყვარეობით. ბატონი მაედა ჩვენი ქვეყნის ისტორიისა და კულტურის დიდი მოამაგე, არაერთი საინტერესო სამეცნიერო ნაშრომის ავტორი გახლავთ და უკვე წლებია, თავის ქვეყანაში ქართულ კულტურას, ისტორიასა და ლიტერატურას უწევს პოპულარიზაციას. გარდა ისტორიის კვლევისა, ბატონი ჰიროკატე მაედა იაპონურ ენაზე გამოქვეყნებული არაერთი სტატიის ავტორია. საქმიანი ვიზიტით ბათუმში რომ იმყოფებოდა, მქონდა შესაძლებლობა, შევხვედროდი და გვესაუბრა ორი ქვეყნის ურთიერთობებზე, ჩემს ნაშრომთან დაკავშირებითაც... ძალიან გაუხარდა, როცა ვთხოვე, ყოფილიყო ჩემი რეცენზენტი - მაშინვე დამთანხმდა. მასთან საუბარი ძალიან კომფორტულია. ბატონი მაედა ძალზე პოზიტიური, კეთილი, თავაზიანი ადამიანია, უყვარს ჩვენი ქვეყანა. ამან გამიადვილა მასთან დიალოგი და კომუნიკაცია, მინდა, დიდი მადლობა გადავუხადო გაწეული შრომისა და მხარდაჭერისათვის.

- არანაკლებ საინტერესოა „ტოიოტას ცენტრის“ პრეზიდენტ მაცუნო კოჯისთან ურთიერთობა... რას უნდა ველოდოთ მომავალში?

- ბატონი კოჯი კარგი პიროვნებაა. ბათუმში რომ იმყოფებოდა „ტოიოტას ბათუმის ცენტრის“ მიერ ორგანიზებულ ღონისძიებაზე, მაშინ მომეცა მისი გაცნობის შესაძლებლობა. „ტოიოტას ბათუმის ცენტრის“ დირექტორ, ბატონ გოდერძი სურმანიძის მოწვევით ვესწრებოდი ამ ღონისძიებას. „ტოიოტას ბათუმის ცენტრი“ ყოველთვის გვიდგას გვერდით და ჩვენი ფესტივალების პარტნიორია. რაც შეეხება სამომავლო პერსპექტივებს, ისინი ძალიან დაინტერესებულნი არიან მსგავს ღონისძიებებში მონაწილეობით და აქვთ სურვილი, მაქსიმალურად დაგვიდგნენ გვერდით. ეს ორ ქვეყანას შორის ურთიერთობებს უფრო მეტად გააღრმავებს.

- „თუ გსურთ, რომ ცხოვრებამ გაგიღიმოთ, აჩუქეთ თქვენი კარგი განწყობა“ - როცა ამ სტრიქონებს წერდით...

- კარგი განწყობა ძლიერი იარაღია, ცხოვრებაში არსებული გამოწვევების მართვის ბალანსი, რომელიც აადვილებს და ზრდის შრომისუნარიანობას, არის თვითშეგრძნებებზე ორიენტირებული და ადამიანს სძენს თავდაჯერებულობას, შესაბამისად, უფრო ეფექტურად ებრძვი პრობლემებს და უმკლავდები რთულ სიტუაციებს, წარუმატებლობას და ურთიერთობის სურვილი ყველას უჩნდება.

- დროდადრო რომანტიკული განწყობაც გეუფლებათ... პოეზია, მხატვრობა, მუსიკა და - თქვენ.

- როგორც ვოლტერი ამბობს, პოეზია მუსიკაა სულისა. ამით ყველაფერია ნათქვამი.

- ხელოვნურ ინტელექტთან მეგობრობთ? როგორ იყენებთ მას თქვენს საქმიანობაში? რას ურჩევთ ახალგაზრდებს?

- არასდროს გამომიყენებია და მომავალშიც არ ვაპირებ ხელოვნური ინტელექტის გამოყენებას. ახალგაზრდებისადმი რჩევას რაც შეეხება, გააჩნია, მას რა კონტექსტში გამოიყენებენ, თუმცა, ზოგადად, ჩემი რჩევა იქნება, მაინც თავი შეიკავონ და მოერიდონ.

- „ოჯახი ხის ტოტებს ჰგავს“, - წერთ ერთგან. განავრცეთ ეს აზრი...

- ხის აგებულება ჰგავს ოჯახს. როგორც ხეს გააჩნია ფესვი, ღერო, გარჯი (ხის ტანი), ფოთოლი, ანალოგიური სტრუქტურა აქვს ოჯახსაც.

- ძეგლი ცოცხალი წინაპარია - ამ სიტყვების ჭეშმარიტებაზე რას გვეტყვით?

- საქართველოში არსებული კულტურული მემკვიდრეობა არის და იქნება ჩვენი ქვეყნის სიმდიდრე, რომელიც, საბედნიეროდ, წინაპრებისგან გვერგო წილად და რომლის მესაკუთრეც ქვეყნის ყველა მკვიდრი ვართ. ეს არის ჩვენი სავიზიტო ბარათი, ქვეყნის სახე, ჩვენი კულტურის სიძლიერის, მრავალფეროვნების, ღირებულებების განმსაზღვრელი, რაც გვაკავშირებს და გვაერთიანებს წარსულთან. წინაპართა დანატოვარ კვალზე დავდივართ აწმყოში და ეს მომავალში უკეთესად ყოფნის საწინდარია. ამიტომაც ჩვენი ისტორიული ძეგლები ჩვენთვის ცოცხალი წინაპრები არიან და ყველა ჩვენგანმა უნდა გავაცნობიეროთ პასუხისმგებლობა, უნდა შევინარჩუნოთ, დავიცვათ და უკეთესად წარმოვაჩინოთ.

„ჩვენმა ფესტივალმა გვაჩვენა დიდი პროგრესი და კიდევ უფრო დააახლოვა ორი ქვეყანა, რაც ძალიან საამაყოა საქართველოსთვის და, განსაკუთრებით, ჩვენი კუთხისთვის. იაპონიის ელჩმა უმნიშვნელოვანესად მიიჩნია ეს ფესტივალი და ხაზი გაუსვა ბათუმის როლს საქართველოში იაპონური კულტურის პოპულარიზაციაში, მოიხსენია ის, როგორც კულტურული გაცვლის ადგილი და ორი ქვეყნის დამაკავშირებელი „გული“

ჩინეთი რუსეთის გვერდის ავლით სარკინიგზო დერეფანს ავითარებს

მე-4 გვერდიდან

როგორც ცნობილია, რუსეთის მიმართ სანქციების გამკაცრებამ რიგი საერთაშორისო კომპანიები აიძულა, აღარ გამოეყენებინათ რუსეთი სატრანზიტო ტერიტორიად. ამ თვალსაზრისით, ჩინეთს მიეცემა შესაძლებლობა, განახორციელოს სავაჭრო მარშრუტების დივერსიფიკაცია, რითაც შეამცირებს რუსეთის დერეფნებზე დამოკიდებულებას, გრძელვადიან პერსპექტივაში კი, ახალი სარკინიგზო პროექტის საშუალებით, ჩინეთი რუსეთის გვერდის ავლით და შუა დერეფნის ინტენსიური გამოყენებით, გაამყარებს საიმედო კავშირს ევროკავშირის ქვეყნებთან. ეს ჩინეთის სტრატეგიულ მიზანს წარმოადგენს, რაც, ასევე, თანხვედრაშია შუა დერეფნის მონაწილე ქვეყნების მისწრაფებასთან.

სამი ქვეყნის დამაკავშირებელი ახალი სარკინიგზო დერეფნით ჩინეთს საშუალება მიეცემა, შეამციროს არა მხოლოდ რუსეთზე, არამედ ყაზახეთზე დამოკიდებულებაც. ჩინეთს მიეცემა შესაძლებლობა, ჩინეთ-ყაზახეთის ყველაზე გადატვირთული საზღვრიდან ტვირთნაკადის 10-15% გადმოართოს ახალ სარკინიგზო მარშრუტზე, რითაც, პირველი რიგში, ჩინეთი-ევროკავშირის გადაზიდვებში შემცირდება რუსეთის, როგორც სატრანზიტო ქვეყნის ზეგავლენა.

ჩინეთ-ყირგიზეთ-უზბეკეთის სარკინიგზო პროექტს აქვს დამატებითი ეკონომიკური მიმზიდველობა, კერძოდ, ჩინეთის პროდუქციას 900 კმ-ით შემოკლებული მარშრუტით მიეცემა შესაძლებლობა, მოხვდეს ახლო აღმოსავლეთისა და ევროპულ ბაზრებზე. გარდა ამისა, 8-9 დღით შემცირდება ამ ბაზრებზე ტვირთების ტრანსპორტირების ვადა. აღსანიშნავია ისიც, რომ როდესაც საუბარია ევროპულ ბაზრებზე, ყველაზე მიმზიდველ მიმართულებად შუა დერეფანი განიხილება.

მიუხედავად იმისა, რომ პროექტს ოფიციალურად მიეცა სტარტი, ჯერ კიდევ არსებობს პოლიტიკური, ფინანსური და ტექნიკური სიძნელეები, რომლებმაც შესაძლოა, დაბრკოლოს პროექტის განხორციელება. ყირგიზეთში არსებულმა ანტიჩინურმა განწყობამ შესაძლოა, ნეგატიურად იმოქმედოს პროექტის მიმდინარეობაზე. ყირგიზეთის მოსახლეობის მხოლოდ 19% უჭერს მხარს ენერგეტიკასა და ინფრასტრუქტურაში ჩინეთის ინვესტიციას, 31% კი ეწინააღმდეგება. მოსახლეობის 66%-ის მოსაზრებით, ჩინეთის ფინანსური ზეგავლენა დამატებით გაზრდის ყირგიზეთის დამოკიდებულებას ჩინეთის წინაშე, ვალის გადაუხდელობის პირობებში კი შესაძლოა, ყირგიზეთმა დაკარგოს ამ ობიექტზე ზეგავლენა. გარდა პოლიტიკური დაბრკოლებისა, პროექტის განხორციელებისას არსებობს ფინანსური და ტექნიკური სიძნელეები. საფინანსო რესურსის 4,7 მილიარდი დოლარის ჩადების პირობებში, სხვა სახის ინფრასტრუქტურული პროექტების ანალოგიურად, ჩინეთი გამოიყენებს ფინანსური რისკების პროექტში მონაწილე ქვეყნებზე გადანაწილების აპრობირებულ სტრატეგიას. რადგანაც სარკინიგზო მონაკვეთი გადის სამ სახელმწიფოზე, დაფინანსებაც გადანაწილებულია სამივე ქვეყანაზე. არსებობს მოსაზრება, რომ ყირგიზეთი ვერ მიიღებს ტვირთების ტრანზიტისგან იმდენ შემოსავალს, რომ დაფაროს პროექტის დანახარჯები“, - აღნიშნულია პუბლიკაციაში.

რა იშვიათ მინერალებს ფლობს უკრაინა?

ირმა ცეცხლაძე 577 20 45 63

აშშ-ის ახალი პრეზიდენტის არაორდინარულმა ქმედებებმა მთელი მსოფლიო დააფიქრა. განსაკუთრებით ცუდ დღეში აღმოჩნდნენ ომში მყოფი უკრაინის ლიდერები, რომელთაც ტრამპმა პირდაპირ განუცხადა, რომ მათთვის უსასყიდლოდ არაფრის გაკეთებას არ აპირებდა. თუ სურდათ იარაღით და ფულით დახმარება, სანაცვლოდ ძვირად ღირებული მინერალები უნდა დაეთმოთ ამერიკისთვის

უკვე ყველამ იცის, როგორ ცუდად წარიმართა ტრამპისა და ზელენსკის ერთობლივი პრესკონფერენცია, თუმცა ჯერაც არ არის ცნობილი, მინერალების საბადოები გადასცეს ამერიკას თუ არა. ყველა გამოცემა სხვადასხვა ინფორმაციას ავრცელებს, ხოლო წყაროს სანდოობის დადასტურებაზე ორივე მხარე თავს იკავებს.

მაინც, რომელ და რა ღირებულებების მინერალებზეა საუბარი? გთავაზობთ ექსპერტების მოსაზრებებს (წყარო: bbc.com).

უკრაინის ტერიტორიაზე მოიპოვება 21 მინერალი (დედამიწაზე სულ 30 იშვიათი ნივთიერება არსებობს), რომლებსაც ევროკავშირი (EU) განსაზღვრავს, როგორც „კრიტიკულ ნედლეულს“ (იშვიათი მინერალი).

უკრაინის ტერიტორიაზე არსებული საბადოები მსოფლიო მარაგის დაახლოებით 5%-ს წარმოადგენს. ესენია: ურანი, ტიტანი, ლითიუმი, გრაფიტი და სხვა.

ბევრი ადგილი, სადაც ამ ელემენტების საბადოა ნაპოვნი, მდებარეობს უკრაინის კრისტალური მასივის სამხრეთით, ძირითადად, აზოვის ზღვის ქვეშ. ამ ტერიტორიების უმეტესობა ამჟამად ოკუპირებულია რუსეთის მიერ, თუმცა უკრაინას ჯერ კიდევ აქვს პერსპექტიული ზონები შუა ბაგის რეგიონში, ასევე, კიევის, ვინიცისა და ჟიტომირის რეგიონებში.

ექსპერტების აზრით, მიუხედავად იმისა, რომ უკრაინის ტერიტორიაზე რამდენიმე ასეული პერსპექტიული გეოლოგიური ობიექტია გამოვლენილი, მხოლოდ ზოგიერთი შეიძლება გახდეს საბადო, თუ მათი განვითარება ეკონომიკურად მიზანშეწონილად ჩაითვლება.

უკრაინის მნიშვნელოვან მინერალურ რესურსებზე საუბრისას, Forbes Ukraine-ს თანახმად, მათი დაახლოებით 70% დონეცკის, დნეპროპეტროვსკისა და ლუგანსკის რეგიონებშია განლაგებული. ეს ტერიტორიები ასევე რუსეთის მიერაა ოკუპირებული.

იშვიათი მინერალების გარდა, უკრაინა შეიცავს კრიტიკული მინერალების საბადოებს, როგორიცაა ლითიუმი. უკრაინის მთავრობის მონაცემებით, ქვეყნის ლითიუმის მარაგი დაახლოებით 450 000 ტონას შეადგენს. ამჟამად რუსეთის კონტროლქვეშაა მინიმუმ ორი ლითიუმის საბადო: შევჩენკოვსკოე - დონეცკის რეგიონში და კრუტაია ბალკას კომპლექსის საბადო - ბერდიანსკის ოლქში.

რატომ სჭირდება ტრამპს ეს მინერალები?

აშშ-ის ინტერესი იშვიათი წიაღისეული ლითონებისა და, შესაძლოა, კრიტიკული მინერალების წარმოების კონტროლის სურვილით, ძირითადად, ჩინეთთან კონკურენციითაა განპირობებული.

ბოლო რამდენიმე ათწლეულის განმავლობაში, ჩინეთი იშვიათი დედამიწის მინერალების მოპოვებისა და გადამუშავების სფეროში ლიდერია. მასზე მოდის გლობალური წარმოების 60-70% და გადამამუშავებელი სიმძლავრის თითქმის 90%.

სავარაუდოდ, აშშ-ის ადმინისტრაციას ამ სფეროში ჩინეთზე დამოკიდებულება აწუხებს. ეს განაპირობებს ქვეყნის როგორც ეროვნული უსაფრთხოების, ასევე, ეკონომიკურ პერსპექტივებს.

ამასთან, იშვიათი ლითონები და მინერალები აუცილებელია რთული ტექნოლოგიების შესაქმნელად - ელექტრომანქანებით დაწყებული და სამხედრო აღჭურვილობით დასრულებული.

ეს მინერალები ასევე წარმოადგენს სამომხმარებლო ელექტრონიკის, სამხედრო და სანავიგაციო აღჭურვილობის და, რაც მთავარია, ხელოვნური ინტელექტის (AI) მონაცემთა ცენტრების სამშენებლო ბლოკებს.

მანამდე ტრამპმა განაცხადა, რომ აშშ-ში გეგმავს ხელოვნური ინტელექტის ინფრასტრუქტურის მასიურად გაფართოებას. ამას დასჭირდება კრიტიკული მინერალების უზარმაზარი მარაგი - ძირითადად, სპილენძი, სილიციუმი, პალადიუმი და სხვა იშვიათი ელემენტები.

განახლებადი ენერგიის საერთაშორისო სააგენტოს მონაცემებით, ჩინეთი ახლა აკონტროლებს ბუნებრივი გრაფიტისა და დისპროციუმის მარაგების 100%-ს, კობალტის 70%-ს და ყველა გადამუშავებული ლითიუმის და მანგანუმის თითქმის 60%-ს.

პეკინი ასევე ინარჩუნებს მკაცრ კონტროლს ძირითად ლითონებზე მთელ მსოფლიოში, ფლობს ძირითად მაღაროებს აფრიკაში, აზიასა და სამხრეთ ამერიკაში.

როგორც ჩანს, ტრამპის ადმინისტრაცია უკრაინასა და გრენლანდიას მიიჩნევს ტერიტორიებად, სადაც მას შეუძლია გამოიყენოს ინოვაციური მეთოდები თავისი მიწოდების ჯაჭვის გასავითარებლად.

„ყველაზე ემოციური მოხუცებთან განშორება იყო“

ბათუმელი ახალგაზრდები – სტიქიის ეპიცენტრში

მე-7 გვერდიდან

- ძირითადად, როგორ ეხმარებოდით მოსახლეობას?

- მოხალისეობრივი საქმიანობა ორ კომპონენტად იყოფოდა: საშტაბო საქმიანობად და შემსრულებელ ჯგუფებად. საშტაბო ჯგუფები დაკავებული იყვნენ პროდუქტებისა და მედიკამენტების მიღება-დახარისხებით, ასევე, შტაბში ფუნქციონირებდა ქოლცენტრი, რომელიც ეცნობოდა მოსახლეობის საჭიროებებს და ინფორმაციას შემსრულებელ ჯგუფებს გადასცემდა. შემსრულებელი ჯგუფები გადანაწილებული იყვნენ ერთი ან ორი მაღალი გამავლობის ავტომობილში. არსებობდა რამდენიმე ასეთი ჯგუფი, რომელთა მთავარი მისია ნებისმიერი სირთულის გადალახვა და ზუსტ ლოკაციაზე საკვებისა და მედიკამენტების მიტანა იყო.

- გქონდათ შიში ან ეჭვი, რომ ვერ გაუმკლავდებოდით სიტუაციას?

- რა თქმა უნდა, შიში ადამიანის ყველაზე გულწრფელი გრძნობაა და როდესაც მსგავს ფორსმაჟორულ სიტუაციაში ხარ, ფიქრობ, შეძლებ თუ ვერა, რადგან სადღაც ვიღაც გელოდება. ფიქრობ იმაზეც, რომ თავად არ გახდე დასახმარებელი ან დაბრკოლება - სხვა ჯგუფებისთვის, თუმცა როდესაც თანამოაზრეებთან ერთად ხარ, რომლებიც საველე პირობებში მოტივაციასა და ხალისს ინარჩუნებენ, დაუძლეველი აღარც შიშია და აღარც რთული რელიეფი. პირიქით, უფრო მოტივირებელი ხდები.

- რა იყო ყველაზე რთული?

- ყველაზე რთული... დიდი და გაუკვალავი თოვლი, რომელიც მოძრაობას ართულებდა. ამას ემატებოდა თავად ჩვენი წონა, თბილი სამოსი და დაახლოებით 40 კილოგრამი ტვირთი - საკვები და წამლები, რაც აღმართში კიდევ უფრო მძიმდებოდა. ასეთ დროს ენერგიას ორმაგად ხარჯავ, თუმცა გაჩერება შეუძლებელია, რადგან იცი, რომ გელოდებიან. ყველაზე ემოციური მოხუცებთან განშორება იყო. გვეფერებოდნენ და გვთხოვდნენ, რომ კიდევ ცოტა ხანს დავრჩენილიყავით, მაგრამ სხვა ლოკაციაზე, არანაკლებ რთულ პირობებში სხვები გველოდებოდნენ...

- გრძნობდით თუ არა საკმარის მხარდაჭერას როგორც მოხალისე?

- რა თქმა უნდა, რომ არა მოსახლეობის მხარდაჭერა, ჩვენს საქმიანობას ის ეფექტი არ ექნებოდა, რაც ჰქონდა. ვისარგებლებ შემთხვევით და მადლობას გადავუხდი ბათუმის მოძრაობის წევრებს, რომლებიც თითქმის ყოველდღე გვამარაგებდნენ საჭირო ნივთებით თუ პროდუქტით. მადლობა ყველას, ვინც არანაკლები ჯაფა გასწია დიდთოვლობით დაზარალებული გურულების დასახმარებლად. სამწუხაროდ, უნდა აღვნიშნო, რომ ისეთი შთაბეჭდილება შეიქმნა, თითქოს სახელმწიფო ამ პროცესებში საზოგადოებისგან დისტანცირებას ცდილობდა. ამის თქმის საფუძველს მაძლევს ის ფაქტი, რომ ადგილობრივი ხელისუფლება საუბრობდა მოხალისეების არასაჭიროებაზე, არადა, ამ პროცესებში მნიშვნელოვანი წვლილი სწორედ მოხალისეებმა შეიტანეს. მსგავს სიტუაციებში აუცილებელია მოხალისეთა და სახელმწიფო ორგანოების კოორდინირებული მუშაობა.

- მომავალში, მსგავს სიტუაციაში, კვლავ წახვალთ დასახმარებლად?

- ვისურვებდი, რომ ჩვენს ქვეყანაში მსგავსი მოვლენები ნაკლებად მოხდეს, თუმცა თუ კვლავ იქნება საჭირო, უფრო მეტად მოტივირებული, მომზადებული და ენერგიული წავალ.

- რას ურჩევთ იმათ, რომლებსაც სურვილი აქვთ, მაგრამ თავად ვერ დგამენ ასეთ ნაბიჯს?

- უბრალოდ, აუცილებელია, გვერდით გყავდეთ ადამიანები, რომლებსაც ენდობით და შეძლებთ გუნდურად მოქმედებას. როდესაც საერთო მიზნის ირგვლივ ვერთიანდებით, ჩვენი შეჩერება და დამარცხება შეუძლებელია. თუ მიზეზი შიშია, მისი დაძლევის გრძნობას არაფერი სჯობს. და კიდევ - გირჩევთ, მსგავს სიტუაციებში აუცილებლად იქონიოთ სპეციალური აღჭურვილობა, თბილი სამოსი, ტკბილეული და, რაც მთავარია, საკუთარი თავის რწმენა.

> *„ყველაზე პოზიტიური და ამაღელვებელი მოხუცებთან შეხვედრა იყო, რომლებიც საერთოდ არ უყურებდნენ, თუ რა მიგვქონდა მათთვის. თვალებში სიხარულით შემოგვციცინებდნენ. ერთ-ერთმა მათგანმა ჩვენი დანახვა დღესასწაულს შეადარა. როცა მსგავსი დამოკიდებულებით გხვდება ადამიანი, რამდენად რთული და თოვლიანი გზაც უნდა გქონდეს გასავლელი, უკან არ იხევ*

მთავარი რედაქტორი
მარინა მითაიშვილი

გამომშვები რედაქტორი
ირმა შერვაშიძე

ლიტერატურული რედაქტორი
ეთერ ხომერიკი

რედაქცია პასუხს არ აგებს უცხოური პრესიდან თარგმნილი მასალების, ფაქტების, ინფორმაციის სიზუსტეზე, აგრეთვე სარეკლამო განცხადებების შინაარსსა და სტილზე.
(R) ნიშნით აღნიშნული სტატიები იბეჭდება რეკლამის უფლებით.
რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.

გამომცემელი - შპს «ბაზეთი აჭარა და ადჟარია»
პოლიგრაფიული მომსახურება - შპს «კოლორ პრესი»
მის: ქ. თბილისი, ე. ბაღდავაძის ქ. №3

მისამართი: 6000, ბათუმი, გრიბოედოვის ქ. №2ᵇ
ტელ: 27-13-31
აიწყო და დაკაბადონდა გაზეთ «აჭარის» კომპ. ცენტრში
დასაბეჭდად ხელმოწერილია 13/03/25, 17 ²⁵ სთ.

დირექტორი
მამუკა ბერიძე

ქუჩის ხელოვნებისა და აკადემიური სამყაროს არაჩვეულებრივი სინთეზი

იოსებ ჯორბენაძის პირველი პერსონალური გამოფენა

- პირველი პერსონალური გამოფენა იმ გზის ანარეკლია, რომელსაც ზღვისპირა ქალაქში წლებია გავდივარ, - გვითხრა მხატვარმა იოსებ ჯორბენაძემ, რომლის გამოფენას „ქუჩის ხელოვნების აკადემია“ ბათუმის ხელოვნების მუზეუმის გალერეა მასპინძლობს

ეს არის ქუჩის ხელოვნების პირველი ბათუმური აკადემიური კოლაჟი, რომელიც ბოლო წლებში ჩვენ თვალწინ დაიბადა. იოსების შემოქმედებას ძალიან კარგად იცნობენ ბათუმელები... და არამარტო. მას ქუჩის მხატვრობის მიმართულებით რვაწლიანი გამოცდილება აქვს. მისი ნახატები ამშვენებს ბათუმში არსებული არაერთი შენობის კედელს. ისინი საოცარ ისტორიებს ყვებიან ქალაქზე, რომელიც არაერთხელ გამხდარა შემოქმედი ადამიანებისთვის შთაგონების წყარო.

იოსების ცეცხლოვანი შემოქმედების რიტმი არასდროს ჩერდება, ყოველი მომდევნო ნახატი წინა ნახატის ერთგვარი გაგრძელებაა და ის სიყვარულისა და სიკეთისაკენ მოუწოდებს ადამიანებს, თუმცა გვახსენებს იმასაც, რომ ცხოვრების გზა შეიძლება იყოს ბორკილებიანი, გოლგოთას გზა, რომლის გავლაც გვიწევს ადამიანებს. თვლის, რომ პიროვნული ხასიათების ცვლილებასთან ერთად, მის შემოქმედებაში იცვლება ფერები, კომპოზიციები, სიუჟეტები. სწორედ გამოცდილებათა მრავალფეროვნებამ მიიყვანა იმ გადაწყვეტილებამდე, რომ ქუჩის ქაოსში შობილი თანამედროვე ხელოვნება აკადემიურ სივრცეში გადაეტანა და ეჩვენებინა, რომ ადამიანის წარმოსახვით უნარს არ გააჩნია ჩარჩოები და ქუჩის მხატვრობა მაქსიმალურად მიმღებლურია ნებისმიერი სახის იდეის მიმართ.

- პირველად ხდება ბათუმში, ჩვენს რეგიონში, როცა ქუჩის სტილის ნამუშევარი შემოდის ისეთ აკადემიურ დაწესებულებაში, როგორიც ხელოვნების მუზეუმის გალერეაა. გამოფენას „ქუჩის ხელოვნების აკადემია“ ჰქვია. ეს სახელი ზოგადია, ყოველგვარი დრამატურგიის გარეშე. დანარჩენი, თეატრალურობა და შემოქმედებითი სინთეზი, თითოეულ ნამუშევარშია და მათი ერთიანობა თუ ცალ-ცალკე არსებობა, სწორედ ამას უსვამს ხაზს. დროსთან ერთად იცვლება სათქმელი, აბსოლუტურად ყველაფერი. შეიძლება შეიცვალოს მასშტაბი, შემოქმედებითი ტექნიკა, ხედვის არეალი, ფერები უფრო პასტელური გახდეს, მაგრამ არ შეიცვლება ის მთავარი მოტივი, რისთვისაც მთელი ცხოვრება ვშრომობ და ვიბრძვი - საკუთარი თავის ძიება, სიყვარული, იმ ბედნიერების და სიმშვიდის პოვნა, რაც ყოველდღიურობაშია. მე ჩემი ხელოვნებით ვცდილობ, სადღაც შორიდან, ძალიან მაღლა, ციდან გამოვწურო და მივიღო ემოცია, შემდეგ კი ნახატებში გადმოვცე. თუ ადამიანები მომავალშიც დაინახავენ ამას, ჩავთვლი, რომ ჩემი შემოქმედება იმ ნაპერწკლებისგან შედგება, რომლითაც დიდი ცეცხლის გაჩაღება შეიძლება“, - გვითხრა მხატვარმა.

იოსებ ჯორბენაძემ შემოქმედებით გეგმებზეც ისაუბრა, თქვა, რომ მისთვის მნიშვნელოვანი იყო პირველი პერსონალური გამოფენა მშობლიურ ბათუმში ჩაეტარებინა, ქალაქში, რომელიც უდიდეს ენერგიას, მოტივაციას სძენდა. ამით კიდევ ერთხელ გამოეცხადებინა მადლობა ადამიანებისათვის, ვინც შეიყვარა და ნდობას უცხადებს მის შემოქმედებას.

- მიუხედავად იმისა, რომ ჩეხეთის აკადემიიდან მქონდა შემოთავაზება, გადავწყვიტე იქიდან დამეწყო, სადაც ყვავილის სახით იშვა და აღმოცენდა ჩემი შემოქმედება, სადაც მინდა გაიხაროს - სწორედ ამ მუზეუმებსა და გალერეებში. ვაპირებ გავაგრძელო თანამშრომლობა ადგილობრივ ქართულ, ასევე, უცხოეთის მუზეუმებთან. მინდა, მადლობა გადავუხადო ყველას, ვინც გამოფენაზე მოვიდა, მათაც, ვინც ვერ შეძლო მოსვლა, მაგრამ გულშემატკივრობს ჩემს შემოქმედებას. ბედნიერებაა, როცა გრძნობ ადამიანების სიყვარულს, ბედნიერებაა, როცა ჩაუვლი შენ მიერ მოხატულ კედლებს და კიდევ ერთხელ კითხულობ ამბებს, რომლებიც შენი ნაწილია. სასიამოვნოა იმის გაცნობიერება, რომ ემოციური თვალსაზრისით, ერთგვარი ყამთააღმწერელი ხარ, რომელმაც ხატვის საშუალებით გადმოსცა ის ენერგეტიკა, რასაც კონკრეტული ნახატის შექმნის მომენტში გრძნობდა ქალაქი, ქვეყანა“, - ამბობს იოსებ ჯორბენაძე.

მხატვრის შემოქმედებაზე ისაუბრა აჭარის ხელოვნების მუზეუმის მთავარმა კურატორმა ლევან წულუკიძემ. მისი განცხადებით, იოსები არის ქუჩის ხელოვანი, რომელმაც ქალაქში არაერთი მნიშვნელოვანი პროექტი განახორციელა.

- შეიძლება ითქვას, იოსებ ჯორბენაძე ერთ-ერთი სათქმელის სწორად მომტანი ხელოვანია ჩვენს დროში. მისთვის ეს გამოფენა არ იყო იოლი, რადგან ქუჩის მხატვრობიდან მუზეუმის სივრცეში გადმოინაცვლა, მაგრამ შესანიშნავად გაართვა ამ ამოცანას თავი. მიმაჩნია, რომ ხელოვნების მუზეუმის გალერეაში გამართულ გამოფენებს შორის, ემოციურად, ერთ-ერთი საუკეთესოა. კონცეპტუალური თვალსაზრისით, ისეთი მისტიკური გარემო იქმნება, რომელიც მის ხელოვნებას ახასიათებს. მინდა დიდი მადლობა გადავუხადო ჩვენს ქალაქს, რომ ასეთი კარგი ხელოვანი წარმოშვა. მომავალშიც არაერთ წარმატებას და მნიშვნელოვანი პროექტის განხორციელებას ვუსურვებ იოსებს, ხელოვანს, რომელიც შემოქმედებით, ნიჭით, ხედვით იმდენად ორიგინალურია, რომ მთელ ქვეყანას შეუძლია იამაყოს მისით, - აღნიშნა ლევან წულუკიძემ.

- როცა დგახარ იოსების ნახატის წინ, ის გეუბნება ყველაფერს, შენ არ გჭირდება ზედმეტი ფიქრი, ნახატი აღმოაჩენს შენში ისეთ რაღაცებს, რაც აქამდე უცნობი იყო... ბავშვობიდან ფანქარს იჭერდა ხელში, გუაშს თუ სპრეის, ყოველთვის გადმოსცემდა არა იმას, რაც მას უნდოდა, არამედ იმას, საითკენაც მიჰყავდა ხელოვნებას. ხელოვნების აუხსნელი და აღმოუჩენელი ფაქტორი სწორედ ის არის, როცა რაღაც ისეთს გაკეთებინებს, რის შესახებაც შეიძლება არც კი გიფიქრია. დღეს მუზეუმი ქუჩის მხატვრობისთვის თითქოს არაავთენტური გარემოა, მაგრამ იოსებმა მოახერხა და ძალიან განსხვავებულად შემოიტანა ქუჩის შტრიხები ძალიან კლასიკურ და დახვეწილ გარემოში, სადაც აქამდე კლასიკური ფერწერა გვინახავს მხოლოდ. ვფიქრობ, ეს ძალიან მნიშვნელოვანი მიგნებაა. იოსების ხელოვნება იმიტომ არის საინტერესო, რომ მოდის ქუჩიდან, უბრალო მომენტებიდან, ყოველდღიური ცხოვრებიდან. დღევანდელი გამოფენის თემატიკა ძალიან ბიბლიური და ამასთანავე, თავისუფალია. ვფიქრობ, გალერეაში მის გამოფენაზე მოსული ადამიანები უბრალოებას დაინახავენ, რითაც გამორჩეულია ქუჩის ხელოვნება, რითაც ხასიათდება იოსები, უბრალოებასთან ერთად კი ძალიან ღრმა შინაარსს, - გვითხრა მხატვრის მეგობარმა, პოეტმა ნიკოლოზ ფუტკარაძემ.

ბათუმის ხელოვნების მუზეუმში იოსებ ჯორბენაძის ნამუშევრების გამოფენა 16 მარტის ჩათვლით გაგრძელდება.

რა ხდება ბათუმის დრამატულ თეატრში?

„ბათუმის თეატრში დაიწყო რეპრესიები“ - დაწერა საკუთარ ფეისბუქ გვერდზე ბათუმის დრამატული თეატრის მსახიობმა ტიტე კომახიძემ, რომელმაც ამავე თეატრის მსახიობ თორნიკე ბარამიძის გათავისუფლების ბრძანების შესახებ ამცნო საზოგადოებას

„ხვალ კიდე ვიცი სხვა მსახიობის რიგია, მალე ჩემიც. კი ბატონო, ასე იყოს, როგორც თქვენ გადაწყვეტთ თეატრის ვაი ხელმძღვანელობა. დრო ყველაფერს დაალაგებს. ოქროს ვერ დაგბინძდებით და ყავისფერი ასოებით კი ჩაეწერებით თეატრის ისტორიაში. სასაცილოა, სატირალი რომ არ იყოს. ძალიან გინდათ თქვენი არაპროფესიონალიზმი და თეატრის მართვის კოშმარული ხერხები, მსახიობების უპატივცემულობა და თავდახრილ მონებად გადაქცევა, პოლიტიკურ ჭრილში გადაიტანოთ, მაგრამ ტყუილად ცდილობთ. ყველამ ყველაფერი იცის და ყველა ყველაფერს ხედავს. არახალია თქვენგან თითის ქნევით და მუქარით მსახიობების მორჩილებაში მოყვანა, მაგრამ ეს ის შემთხვევა არაა. არავის თქვენი არ ეშიანია“, - წერს მსახიობი.

ბრძანების მიხედვით, თორნიკე ბარამიძის გათავისუფლების მიზეზი „სპექტაკლებსა და რეპეტიციებზე გამოუცხადებლობა“ გახდა, რის გამოც მას თეატრმა 2025 წლის 13 იანვარს გაფორმებული ხელშეკრულება 10 მარტიდან შეუწყვიტა.

თეატრიდან გათავისუფლებულმა მსახიობმა ჟურნალისტებს განუცხადა, რომ ის ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო თავის ქალაქში - ქუთაისში წავიდა და 23 თებერვლიდან ბიულეტენი გახსნა. მსახიობი ამბობს იმასაც, რომ მისი ჯანმრთელობის პრობლემის შესახებ საქმის კურსში იყო თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი ნუკრი ქანთარია. თორნიკე ბარამიძის თქმით, მართალია, შესაბამისი სამედიცინო დოკუმენტი მას თეატრში არ წარუდგენია, რადგან ის არავის მოუთხოვია, თუმცა ის არსებობს და აუცილებლად წარადგენს.

მსახიობის სამსახურიდან გათავისუფლებას სხვა მსახიობების მხრიდან მწვავე გამოხმაურება მოჰყვა: „შემდეგი მე ვარ“ - დაწერა სოციალურ ქსელში მსახიობმა მეგი კობალაძემ. მსახიობთა ნაწილს აქვს ეჭვი, რომ თეატრის ხელმძღვანელობა შეეცდება, ყველა ის მსახიობი გაუშვას თეატრიდან ან ადმინისტრაციული სასჯელი დაუწესოს, ვისაც განსხვავებული პოლიტიკური მოსაზრება აქვს.

ინფორმაციას, რომ ბათუმის დრამატულ თეატრში რეპრესიები დაიწყო, დეზინფორმაცია უწოდა დრამატული თეატრის დირექციამ. მან აღნიშნულის პასუხად განცხადება გამოაქვეყნა, სადაც დაწვრილებით წერია მსახიობის გათავისუფლების მიზეზზე.

„სოციალურ ქსელში გავრცელდა დეზინფორმაცია, თითქოს ბათუმის ილია ჭავჭავაძის სახელობის პროფესიულ სახელმწიფო დრამატულ თეატრში დაიწყო რეპრესიები და დევნა (იგულისხმება - პოლიტიკური ნიშნით), რაც არის მტკნარი სიცრუე და მიზნად ისახავს თეატრის ხელმძღვანელობის რეპუტაციის შელახვას და საზოგადოების შეცდომაში შეყვანას. ჩვენ ყოველთვის ვერიდებით შიდა პრობლემების საჯაროდ გამოტანას, მაგრამ ამჯერად ვალდებული ვართ, საზოგადოებას ვაცნობოთ:

მსახიობის უპირველესი მოვალეობაა სპექტაკლების თამაში, რასაც წინ უძღვის დაძაბული და ხანგრძლივი რეპეტიციები. ხშირად ყოფილა შემთხვევა, როცა მსახიობი მძიმე ავადმყოფობის ან სულიერი მდგომარეობის მიუხედავად, მოდის თეატრში და თამაშობს სპექტაკლს, რათა არ გააწბილოს მაყურებელი. ეს ერთგვარი თავგანწირვა ამ პროფესიის თანმდევი ნაწილია, ამიტომაც იწვევს განსაკუთრებულ პატივისცემას. ასეთი მაგალითი ბევრია როგორც ჩვენს თეატრში, ასევე სხვა თეატრებშიც, მაგრამ როდესაც მსახიობი ორი კვირით ადრე შემოთვლის, რომ სიცხე აქვს და ორი კვირის შემდეგაც ავად იქნება, ამიტომ ვერ ჩამოდის სპექტაკლის სათამაშოდ, თან ამ დროის განმავლობაში მას შენიშნავენ სხვა ორგანიზაციის პიარღონისძიებაზე, ხოლო ის შემდგომ არ გამოცხადდება სპექტაკლში მონაწილეობის მისაღებად, თან ბოლო ორი თვის განმავლობაში ეს არ არის პირველი შემთხვევა და, ამასთანავე, მას არ წარმოუდგენია არავითარი სამედიცინო საბუთი, თეატრის ხელმძღვანელობა ვალდებულია, გამოიყენოს მის მიმართ შინაგანაწესით და ხელშეკრულებით გათვალისწინებული მუხლი, რაც გულისხმობს ხელშეკრულების გაწყვეტას უვადო ან გარკვეული ვადით. ასე მოხდა ამ შემთხვევაშიც და არანაირი პოლიტიკური ნიშნით დევნას აქ ადგილი არ აქვს.

ჩვენი თეატრის ნებისმიერ თანამშრომელს უფლება აქვს, გამოხატოს თავისი აზრი თუ ქმედება ნებისმიერ პოლიტიკურ პროცესზე თეატრის გარეთ და ამის გამო მას არავითარი პასუხისმგებლობა არ ეკისრება. ჩვენი თეატრის სპექტაკლების განრიგი ორი თვით ადრე ქვეყნდება. ყველა მსახიობმა იცის, როდის აქვს სპექტაკლი, ისიც იცის, რომ მისი მოხსნა არის თეატრისთვის მძიმე მორალური და ფინანსური ზიანის მომტანი. ამიტომ შემდეგაც თუ მსგავს მიზანმიმართულ თუ დაუდევრობის შედეგად დისციპლინურ გადაცდენებს ექნება ადგილი, თეატრის ხელმძღვანელობა იძულებული გახდება, მიიღოს კანონით გათვალისწინებული შესაბამისი ზომები, თუ მსახიობი არ წარმოადგენს შესაბამის სამედიცინო ცნობას, რომ მის ჯანმრთელობას სპექტაკლის თამაშით საფრთხე ექმნება და გამოიწვევს შემდგომ გართულებებს“, - წერს ბათუმის დრამატული თეატრის დირექცია.

გვერდი მოამზადა
ნანა აბულაძემ